


# ლიტერატურული გაზეთი

## სოფო ნულაია

\*\*\*

წუხელ ჩემი პირველი შეყვარებული დამესიზმრა:  
 ის ისევ ის იყო, მაგრამ მე მე აღარ ვიყავი...  
 დიდი ვიყავი და ყოველი გაღივებისას  
 თვალებიდან ნაოჭები მიძვრებოდა  
 და სახეში ეხეთქებოდა ჩემი ბავშვობის შეყვარებულს,  
 ის კი ამბობდა: — დაჭერობანა ვითამაშოთ,  
 — და გავრბოდი იატაკზე ნახერხდათესილ კორიდორში თავდავიწყებით,  
 თან ვფიქრობდი: — რაღა დროს ჩემი დაჭერობანა, ან დამალობანაა,  
 რაღა დროს ჩემი კიბეებზე სირბილია...  
 ის მომდევდა და ცდილობდა, თმაში მწვდომოდა,  
 მაგრამ თვე ზივით ვუსხლტებოდი, თან ვფიქრობდი:  
 — რაღა დროს ჩემი დაჭერობანაა, მაგრამ მაინც უნდა გავიქცე...  
 ნავით გაუღენთილ ნახერხიდან ჯუჯა ხეები იჩეკებოდნენ,  
 ნამში შრილა, ხშირფოთლოვანი ხეების სამოსს გადაიცვამდნენ  
 და ჩემ თვალწინ გადაშლილი ტყის მასივი თავის სიღრმეში მიმაქანებდა...  
 გავრბოდი და სარეცხ მანქანაში შეყრილი ჩემი შვილის ტანსაცმელზე მეფიქრებოდა.  
 — აქედან თუ გავალნიე, უნდა გავფინო — გულში რიტმულად ვიმეორებდი...  
 — აქედან უნდა გავალნიო — ხმამაღლა ვმოთქვამდი და გავრბოდი...  
 უკან ის პატარა ბიჭი მომდევდა, მე-6 კლასში რომ ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი.  
 — თუ გიყვარვარ, უნდა მაკოცო და მაშინვე ჩემი ნამდვილი შეყვარებული გახდებიო,  
 კოცნის გარეშე არ ითვლებაო...  
 მაშინ ამქვეყნად ყველაზე მეტად მინდოდა,  
 მისი „ნამდვილი“ შეყვარებული გავმხდარიყავი,  
 მივედი და ზედა ტუჩზე ფრთხილად ვაკოცე...  
 მერე ის ბიჭი სხვა სკოლაში გადაიყვანეს...  
 ოღონდ მაშინვე არ მომკვდარა:  
 ჯერ გერმანიაში წავიდა სასწავლებლად, მერე დაბრუნდა...  
 როცა მოკვდა, უკვე არ იყო ჩემი შეყვარებული,  
 უკვე დიდი იყო... ალბათ, ჩემზე ბევრად სწრაფადაც გაიზარდა,  
 ბევრად მეტი მოგონება, სიხარული, ტკივილი და გამოცდილება,  
 გამბედაობა და წარმატება დააგროვა  
 და ამის გამო მისი მე მშურდა...  
 მერე მოკვდა...  
 მე კი ავდექი და ყველაფერში უსირცხვილოდ გადავასწარი...  
 ახლა, როცა სიზმარში ვარ,  
 ჩემ უკან ის პატარა ბიჭი მორბის,  
 25 წლის წინ მოკუმული ტუჩებით ზედა ტუჩზე რომ ვაკოცე,  
 მერე კი ყველას სათითაოდ მოუყევი — თითქოს, ამით დიდი გამირობა ჩავიდინე...  
 ახლა კი ისე მინდა ვუთხრა, რომ კარგადა ვარ,  
 ჩემი ძლივსგაჩენილი შვილი გამოუფინო და ვუთხრა:  
 — შეხედე, როგორი საოცრება მყავს...  
 მერე თვალწინ ჩემი გზები ავუფრიალო:  
 — ნახე, რამდენი გავიარე, ნახე, რამდენი რამ შევქედი,  
 კარგად შეხედე, რამე არ გამოგრჩეს, რამეს არ გადაახტე,  
 ყველაფერი ერთმანეთზე მნიშვნელოვანია, — ვუთხრა  
 და როცა ჩემს ამბებში გაიხლართება,  
 გავეპარო და ჩემს ცხოვრებაში გამომეღვიძოს...  
 მაგრამ მრცხვენია ჩემი გზების და იმისიც, რომ დედა გავხდი  
 (ბავშვობაში ზუსტად ასე მრცხვენოდა ხოლმე ჩემი ახალი ფეხსაცმლების,  
 როცა ვხედავდი, რომ სხვისი ძველი, პირდაფრენილი და ფერნასული —  
 ხარბად ლეჭავდა თოვლსა და წვიმას).  
 ის ხომ მკვდარია, — გულში ვფიქრობ...  
 — ისე მოკვდა, ვერაფერიც ვერ მოასწრო,  
 მე კი ჯერ ისევ შემოძლია თვალის გახელა,  
 ფეხზე თასმებივით შემოხვეული წარსულის ფეხვის ერთიანად ამოძირკვა  
 და ანწყობი გამოღვიძება  
 და მერე რა, რომ ჩემი ცხოვრება სულაც არაა იმისთანა, როგორიც მსურდა...  
 ისე მიყვარდა მასთან დაჭერობანას თამაში...  
 ისე მიყვარდა, როცა მიჭერდა...  
 — იქნებ, არ ღირდეს გავიღვიძო, — ვფიქრობ  
 და უცებ ჩემს ამბავში მეღვიძება.  
 რა დროს ძილია, სამსახურში უნდა წავიდე...

IV-V




## ნინო მშვიდობაძე

### ადამიანები — სახლები

დედას

ადამიანები სახლებივით არიან...  
 ზოგი ისეთია —  
 კარს გააღებ და —  
 შინ ხარ...  
 ზოგიც ისეთია —  
 სიცარიელეს შემოგაგებებს და ერთი სული გაქვს, გამოიქცე...  
 მიყვარან:  
 ადამიანები —  
 ბუხრიანი ოთახები, ბიბლიოთეკიანი ოთახები, ნათელი ოთახები,  
 სადაც დავლევთ ჩაის და  
 ვისაუბრებთ  
 ადამიანებზე —  
 დღეებზე,  
 ადამიანებზე —  
 მზეებზე,  
 ადამიანებზე —  
 სახლებზე —  
 რიკულებიანი აივნებითა და  
 მაქმანებიანი ფარდებით...  
 ადამიანები სახლებივით არიან...  
 კარს რომ გამოვალ და შინ ვარ,  
 ისეთი ადამიანები მიმრავლე,  
 ღმერთო...



VIII-IX



პირველი ქუჩიდან ავლაბრამდე რა უნდა, მეტეხის ხიდი და, უცებ მივალ. ვინც ეს კოვიდი მოიგონა, სჯობს, გზად არ გადაწყვიტოს, არც ხიდეზე — პირდაპირ მტკვარში ვისვრი, ერთ ჭუჭყსაც აიტანს მტკვარი — ბევრი აუტანია. ამას წინათ ლექსსაც წავაწყდი ინტერნეტში: „შაშვი კაკაბი, ტოროლა, შენ გადაშენდი კორონა“. დიდი ვერაფერი ლექსია, მაგრამ დაბოლოება აქვს კარგი, ჰოდა, გადაშენდი კორონა!

პანდემიამ შეცვალა მსოფლიო. თბილისშიც კორონა ბობოქრობს. ლოკდაუნია, ცხრამდე სახლში უნდა დავბრუნდე. ავლაბარში გურული ძმაცაცი მყავს, ალუ, ისე, სრული სახელი ალმასხანია — ჟურნალში ასე ეწერა. ხო, ჯგუფელები ვიყავით. თოიძეები ვსწავლობდით ერთად, მაშინ დავძმაცადით და ახლაც ერთად ვართ. კოვიდამდე მშრალ ხიდათ თბილისის ხედებს და ხიდეებს თან ვხატავდით, თან ტურისტებზე ვყიდდით — თბილისი გვაჭმევს პურს. ახლა ქუჩები ცარიელია: ტურისტი სანთლით რომ ეძებო, არ არის, ტრანსპორტი არ არის — მხოლოდ ტაქსი. მირეკავს, ამნისტია მაქვს, ცოლ-შვილი სიმამრმა წაიყვანა სიდედრთან და ცხრამდე არ მოვლენ, ხო იცი, ვერსად წავალთ ლოკდაუნის ჟამსა შინა, ყველაფერი მიკეტულია, შენთან შარავი მომენატრა, იაპონური ხურმის გურული ოტკა მაქვს, უშენოდ არ მინდა, გავსინჯო, ვირუსის ჯინაზე მოვცხოვო. ეს ყველაფერი ერთი ამოსუნთქვით მიყარა პული-მიოტივით. რა ნამოვილო-მეთქი? კოვიდი არ ნამოილო, დანარჩენი ყველაფერი, მაგრამ არ გინდა არაფერიო, გვაქ ყველაფერი — პრასიცო. მართლა, შემთხვევით ვირუსი რომ მოგიტანო, არ გეშინია-მეთქი? კაი, თუ ძმა ხარ, შენ ისე სწრაფად დადიხარ, ეს დებილი კოვიდი რას დაგეწევს, მაგას ფეხები საერთოდ არ ჰქონია, მაგრამ ნამოსვლამდე სიცხე მაინც გაისინჯე — პატარა ბავშვია ოჯახშიო.

ადრე რომ ვინმეს ეთქვა, სანამ ჩემთან მოხვალ, სიცხე გაისინჯეო, იმასთან, გინდა ასი წლის დაძველებს ძმაცაცი ყოფილიყო, რას მივიდოდი, მაგრამ ახლა, როგორც ტელევიზიები და პოლიტიკოსები ამბობენ, სხვა რეალობაა. სიცხე გაისინჯე, ძლიერს გათბა თერმომეტრი — ოცდათხუთმეტი და ცხრა ხაზი. რაღა აკლია ოცდათექვსმეტს, მაგრამ ხომ არ მოვატყუებ ძმაცაცს, ოცდათხუთმეტი და ცხრა მაქვს-მეთქი. ცოტა ხნით ჩუმად იყო. მერე მეუბნება:

- ვის ატყუებ შენ?
- ვაჰ, კაცო, რას ატყუებ?
- ან ატყუებ, ან კიდო საიქიოდან მელაპარაკები!
- ვერ გავიგე?!
- თუმცა მათემატიკის მასწავლებელს სრული დებილი ვეგონე, იმდენი ანგარიში კი ვიცი, რომ ოცდათხუთმეტი და ცხრა ორმოცდაოთხია, ასეთი ტემპერატურა ალბათ ჯოჯოხეთში აქვთ და ასეთი რა მიქარე?!

— გიჟი ხარ, რა ორმოცდაოთხი? ოცდათხუთმეტი და ცხრა ხაზია, ოცდათექვსმეტიც არ მაქვს!

ცოტა ხანს ჩუმად იყო.  
— მერე, აბა, გჭირდება შენ ოტკა, მოი, ჩქარა! — ამბობს, თან ხმაზე ეტყობა, გაუხარდა.

ალე, ავლაბრის მეტროს უკან გრძელი კორპუსი რომ არის უთვალავი სადარბაზოთი, იქ ცხოვრობს. შორს ნამდვილად არ არის, თან საინტერესოა ეს იაპონური ხურმის ოტკა მედი ინ გურია — ეგზოტიკაა პრაქტიკულად. ვიცი, რომ თვითონ იაპონელები ბრინჯის არაყს, საკეს ამზადებენ — გასინჯვით არ გამოსინჯავს, როგორც ამბობენ, გემრიელია და საკმაოდ ძვირი. ბრინჯის ოტკაზე ნაკლები რატო უნდა იყოს ხურმის ოტკა? გინდაც ანდაზა — „ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია“ — ხო ხურმაზე და არა სხვა ხილზე, მაგალითად, ვაშლზე ან ლეღვზე, მით უმეტეს, ქლიავზე. ლოგიკით გავყვეთ — იაპონური ხურმა რატო ჰქვია, ალბათ იაპონიაშია. თუ მართლა იაპონური ხურმაა, კაი რომ იყოს, იაპონელები ხურმის არაყსაც ხო დაამზადებდნენ — მაგათ არყის გამოხდაში აჯობებდნენ? თუმცა მივდივარ მაინც. მარტო ოტკაშიც ხომ არ არის საჭმე? ახალ რაღაცას მეტყვის აუცილებლად. ნეგტიანი აზრების ინკუბატორია, ჩეკავს და ჩეკავს. პირველ კურსზე რომ ვიყავით, ერთხელ მეუბნება, ხატვას თავს ვანებებ, გენეტიკაში უნდა წავიდე, ბიზნესი ნამოვიწყო, არნევი და ვირი შევავჯვარო და მფრინავი ვირები



ის ფერმას გაეხსნი, დამეხმარე და შემოსავალი ორად გავყოთო. მე რომ სიცილად არ მეყო ეს ამბავი, გადაიფიქრა ფერმის გახსნა. სამაგიეროდ, კურსს რომ ვხურავდით, თავისუფალი თემა გვექონდა და დახატა არნევის ფრთებიანი ვირი სათვალთ. ჯგუფელები კი ბევრს ვიცინოდით, მაგრამ ყველაზე მაღალი შეფასება მან მიიღო — ლექტორმა, ბატონმა სილიბისტრომ, დიდი ფილოსოფიური აზრი დევსო. ალუ მერე სამი კვირა გაფხორილი დადიოდა. რომ შემხვებოდა, თავს დამიკანტურებდა. რა გჭირს-მეთქი, რომ ვკითხე, ერთი ფილმი ვნახე რომელიღაც ფილოსოფოსზე, ასე ესალმებოდა ხალხსო. რომელი ფილოსოფოსი-მეთქი — ვკითხე. ეს არ მახსოვსო. ანუ თავის კანტური ახსოვდა, ფილოსოფოსი — არა. სამი კვირის მერე თავის კანტურს თავი დაანება და მეკითხება, რა აზრი ჩავდე იმ ნახატში, ზუსტად კი არ მახსოვს და სილიბისტროს რომ ვკითხო, უხერხული ხომ არ იქნება ან შენ ხომ არ გახსოვსო? ვუთხარი, დიდი უაზრობა იქნება სილიბისტროს რომ ჰკითხო საკუთარ აზრებზე-მეთქი, მარა ჰკითხე, შენი რა მიდის-მეთქი. მეუბნება, იქნებ ჩემით გავიხსენო, რას ვფიქრობდიო და კითხვა გადაიფიქრა. ამას წინათ მეუბნება, იღონ მასკს მარსზე უნდა წავყვე, დედამინას მარსიდან უნდა გადმოვხვეო, ნეტა ხომ მიმიღებს, იქ მხატვრები ხო დასჭირდებათო. შენი დახატული მფრინავი ვირი აჩვენე და ნაგვიანს კი არა, წინაც დაგვამს და მალე ჩახვალ, მაგრამ ცოლი გიშვებს-მეთქი? ცოლმა ასე მითხრა, სადამომდე თუ სახლში იქნები, გაემიშვებო, სიდედრმა იუ, იმას იქით ნასულხარო, მარსის მერე ხო იუპიტერია, ანუ სიდედრი პირდაპირ იუპიტერზე მიშვებსო. მე ვეუბნები, მანდ მთავარია ბავშვი, ის რას ამბობს-მეთქი. ბავშვი მეუბნება, რას ჩამომიტანო. აზრზე არ ვარ, მარსიდან რა უნდა ჩამოვუტანო და გაჭედო ვარ წასვლა-არწასვლას შორისო. შენც ადექი და მარსიდან შოკოლადი „მარსი“ ჩამოუტანე-მეთქი. უი, შოკოლადი, რა კაი მითხარი, კაცი ხარო. ბოლოს მეუბნებოდა — თმა და წვერი რომ იზრდება, ნარბები რატომ არ იზრდება, ან ნამწამებო. ალბათ იზრდება-მეთქი. იცინის, არ მითხრა ახლა, რომ ნამწამებს პარიკმახერთან იკრეჭო. აბა, ელაპარაკე...

ამ ფიქრებში ჩაუყვები ლესელიძის ქუჩას, ახლა კოტე აფხაზის ქუჩაა, ორივე გენერალი იყო, ერთი საბჭოთა, მეორე თავისუფალი საქართველოს. საბოლოოდ თავისუფალი საქართველოს გენერალმა აფხობა, იმედია, ასევე დარჩება.

ხიდე გადავედი და მეტეხთან რომ ავსხვიე, ზემოდან გოგო მორბის. ალბათ დამამთავრებელი კლასის მოსწავლე იქნება. ლამის დამეჯახა. ადამიანებს, ზოგადად, ვინც უნდა იყოს, წელიწადის დროებად ვხედავ, ანუ ადამიანი არის ან გაზაფხული ან ზაფხული ან შემოდგომა, ანაც ზამთარი. ეს არანაირად უკავშირდება ასაკს, იმიტომ, რომ ზამთარი ბავშვიც შემხვედრია და გაზაფხულივით მოხუციც. ეს გაზაფხულივით გოგო იყო. არადა, პირბადით იყო, თხელი საზამთრო ჩაღისფერი ქურთუკი და

ჯინსის შარვალი ეცვა, ფეხები კი ჩაღისფერი ლერებოვით წვრილი ჰქონდა. მუზაც მოვიდა — მომინდა, ეს გოგო დამეხატა. არ ვიცი, ჩემი ფიქრი გაიგო, ან მუხამ გააგებინა — ჩემკენ მორბის.

- უკაცრავად, გრეტა ოტო ხომ არ დავგინახავთ?!
- ვინ?!
- გრეტა ოტო!
- ერთი, გოგონა, დააზუსტეთ, გრეტა თუ ოტო?
- ერთი და იგივეა!
- არ დამინახავს!
- აბა, რას აზუსტებდით?

ისე მეუბნება, ლამის დამწავედ ვიგრძენი თავი. თითქოს პირველი მე დავეწყე გამოკითხვა. სიმართლე რომ ვთქვა, მთლად ზრდილობიანად არ გამოვიყვია, მაგრამ ვაპატიე. ალბათ უცხოელი სტუმრები ჰყავს და დაეკარგა. თუმცა უცხოელი სტუმრები საიდან ჩამოვიდოდნენ, ფრენები არ არის. ალბათ ადრე ჩამოფრინდნენ, ლოკდაუნებდა...

- ნუ გეშინიათ, არ დაგეკარგებათ, მისამართი ხო იციან, პატრული ნახავს და მოგიყვანთ!
- დამცინით?
- არა, რატო?
- აბა, პატრული როგორ მომიყვანს, პეპელა!

ეს იმდენად მოულოდნელი იყო, ყბა ჩამომვარდა და კიდევ კარგი ნილაბი მეკეთა, ისლა იჭერდა. ცოტა ხანს ასე ყბაჩამოვარდნილი და ნილაბჩამოვარდნილი ვიდექი, მაგრამ რამე ხო უნდა მეთქვა?

— მერე რა, პეპელასაც ხო იჭერენ, თუმცა ზუსტად კი არ ვიცი, პატრული პეპელის საჭერით ჯერ არ შემხვედრია, თუმცა ალბათ იჭერენ.  
რაღაცებს ვბოდილობ, თან ვალიკო მიზანდარი გამახსენდა, თავის ვერტმფრენს პეპელას რომ ეძახის და ძროხები გადაჰყავს. რა პეპელა, რის პეპელა, რა გრეტა გარბო, თუ გრეტა ოტო, თან ამ ზამთარში?! გიჟია ვილაცა! ვაჰ, კაცო, გიჟები მაკლდა, ნადი, შეილო, ვის დაჰკარგვისარ — სიცხე გაისინჯე და იმკურნალე! ამას, რა თქმა უნდა, ისე, ჩემთვის, ვფიქრობ, კიდევ კარგი, არ იციან ფემინისტებმა, რას ვფიქრობ — ლინნის წესით გასამართლება არ ამცდებოდა.

- თავს მოვიკლავ, ის პეპელა რომ დავკარგო! — ამბობს უცებ.
- ხო ვფიქრობდი რა, გიჟია, ჩაცმული და სიმპათიური.
- იცი, გოგონი, თუ თავს იკლავ, რაიმე უფრო ღირებული უნდა აირჩიო მიზეზად. პეპელა, გინდაც გრეტა გარბო იყოს, ამაღ ღირს?
- მე თქვენი გოგონი არ ვარ, თან გრეტა გარბო კი არა გრეტა ოტო!
- გინდაც გრეტა ოტო, მაგრამ გოგონი რატომ გეწყინათ? ალბათ მომავალ წელს სკოლას ამთავრებთ, წინ იმდენი საინტერესო რაიმე გელოდებთ, აი, თუნდაც ბოლო ზარი, თქვენს ასაკში თავს არ იკლავენ!
- სკოლაში როდის ვიყავი და ბოლო ზარი დამავინყდა უკვე, უნივერსიტეტს

ვამთავრებ და სადიპლომო ნაშრომი ზუსტად პეპელაზეა...

— უი, მე კი პატრულისთვის დარეკვას ვაპირებდი, ბავშვი დაიკარგა-მეთქი!

თითქოს ხუმრობა ვცადე. გოგონი, საერთოდ არ გაუგონია, რა ვთქვი.

— ეს რა დღე გამითენდა, ვინმემ იცის, ეს პეპელა ჩემთვის რას ნიშნავს, ტელეფონით მაინც გადამელო, ნამდვილად ის იყო. არადა მხოლოდ არგენტინიდან მექსიკამდე გავრცელებული და აქ როგორ აღმოჩნდა?! ალბათ არც არავინ დამიჯერებს, თბილისში დეკემბრის თვეში გრეტა ოტო რომ ვნახე, ეს რა საშინელი დღე გამითენდა!

არ ვიცი, ამას მე მეუბნება თუ თავისთვის ამბობს, იმიტომ, რომ ჩემკენ არ იყურება და უმწეო მზერას აქეთ-იქეთ დაატარებს, ალბათ იმ გრეტა ოტოს ეძებს ისე. მე კი გონებაში მინდა, ალვიდგინო მსოფლიო რუკა, კერძოდ, ლათინური ამერიკა, აქვს თუ არა სახლგარე მექსიკას და არგენტინას. არა, რა თქმა უნდა, არ აქვს, იმიტომ, რომ ამათ შორის ბრაზილიაა, იქ სადღაც კიდევ გვატემალაა, ნიკარაგუაც, წესით იქაც უნდა იყოს ეს პეპელა.

ტელეფონი რეკავს. ალუ, სად ხარო? ნიკარაგუაში-მეთქი. კვერცხს ვწვავ და მალე მოდი, ხო იცი, შემწვარი კვერცხი თოხლოდ როგორ უხდება ოტკასო. გეოგრაფიის აზრზე არ არის. ეს რა დღეა, ანუ დღეს პირველად გავიგე, რომ თოხლოდ შემწვარი კვერცხი უხდება არაყს და რაღაც კვერცხობა პეპელა, რომელსაც გრეტა ოტო ჰქვია, არგენტინაში, მექსიკაში და ნიკარაგუაში ცხოვრობს. კარგი თამაშები თუ იქნა, კოპა ამერიკა და რამე, ალბათ ბრაზილიაშიც გადავა — „მარაკანაზე“. ბრაზილიიდან ისევე თბილისში დავბრუნდი, მეტეხთან ვარ ალმართზე, ერთი ფანჯრიდან გადმოიხედე, გრეტა ოტოს ხო ვერ ხედავ-მეთქი. გრეტა ოტო ვინ არის, მესამე კვერცხიც შევწვაო? — მეკითხება. არა, რა კვერცხი, პეპელა-მეთქი. ცოტა ხანი ჩუმად იყო, უკვე მეორედ, მერე მეუბნება:

- ისა და, ძამა, თერმომეტრი გაფუჭებული ხომ არ იყო?
- არა!
- მართალს ჩივი?
- არაფერს არ ვჩივი, სიმართლეს გეუბნები!

— აბა, რა პეპელა აგიტყდა, მოდი, მოდი, ისეთი ოტკაა, პეპლები და ჩიტები მერე ნახე შენ!

ამასობაში ვხედავ, უნივერსიტეტის დამთავრებული კურსის გოგოდ გადაქცეული გოგონა-გაზაფხული მეტეხის ხიდეზე და მეორე ნაპირისკენ მირბის. თავიდან თითქოს შვევა ვიგრძენი — კარგია, რომ თავიდან მოვიპოვე თუ თვითონ მომპოვდა. მერე რაღაცნაირად გულიც კი დამწყდა, მე ხო მის დახატვას ვაპირებდი — მოლბერტი მაინც წამომელო. ასე გულდანყვებული აქეთ-იქეთ ვიხედები, იქნებ გრეტა ოტო დავინახო.

\*\*\*

— ოჰ, მოვიდა მშვიდობისმამიებელი... სად ხარ, ოთია, ძამა, ამდენი ხანი, გამრაცყელი?! — შემხვდა ალუ კართან.

— ხო, გაიგე ახლა კოვიდის პირველი სიმპტომი მშრალი ყელია და გინდა სულ დასპირტული გქონდეს?

— სპირტი კი არა, ძამა, იმისთანა რამეა, სუპერ, ოტკა კი არა, მზეია, მზეია...

— ჰა-ჰა... მავი ღვინოზეა!

— მეიცა, რას გეტყვი, იცი? კაი თუა, მზეია, აბა, რა არის... მზეია ყოლისფერში, რაც კაია — დასტუე ვჩივი. ავანთე წელან, სანამ მოხვიდოდი! ფეთქავს...

— თბებოდი?

— არა, დამაინტერესა... ხო იცი, ოტკას რაფერ ამონებენ?

— ჯაჭვიო!

— მოიცა რა, ჯაჭვი კი არა, ცეცხლს უნდა შეასხა და ააგუზგუზოს უნდა — გუზგუზებს...

ლაპარაკობს, თან სამზარეულოში თერთ გადასაფარებლიან მაგიდაზე თეფშებს ალაგებს, იქ უკვე შემწვარი კვერცხი ტაფით დაუდგამს. აქვეა მუთავე კიტრი, ჯონჯოლი, ყველი, თონის პური და პრასიცო, ლამის ფიროსმანის ნატურმორტია, დახატავდა კაცი, მაგრამ ის გოგო მახსენდება ისევე — ნახა ნეტა თავისი გრეტა ოტო? ალეს მაცივრის უქნიდან ნაბელავის მწვანე პოლიეთილენის ბოთლი გამოაქვს, ალბათ კონსპირაცია. ახლა რომ გახსნას ბოთლი

და მართლა ნაბელავი ესხას... გაბრწყინებული თვლებით ჯერ შეაქანა ბოთლი, ნახე, ნახე, ნახე — სამჯერ თქვა და პატარა საარყე ჭიქებში ჩამოასხა, აი, მწარე, ჩვენ ტკბილად ვიყოთო, თქვა და გადახუხა. სახე რომ დაეჭყანა, მივხვდი, ოტკა იყო. მე მგონი, სიტყვა გადახუხვა ოტკისთვის შეიქმნა, აბა, ღვინოზე ან კონიაკზე ასე ვერ იტყვი. ლექსიც მახსენდება სადღაც ნაკითხული, „გამარჯობა, იორამე, ამ დღით თუ ხუხე რამე?“ ჰოდა, მეც გადავხუხე. უი, კაია. არაფერი მწარეც არ არის! ამას დასაჭყანა რა ჰქონდა, ხურმიდანი არაყი თუ გამოვიდოდა, რას ვიფიქრებდი, რაღაც ეგზოტიკური გემო დაჰკრავს.

— რას ამბობდი, ძამა, ვინ გრეტა გარბოო? — მეკითხება უცებ.

— თავიდან მეც გრეტა გარბო მეგონა და აღმოჩნდა გრეტა ოტო!

— ვინ არის?

— პეპელა!

— რა პეპელა?

— ჩვეულებრივი პეპელა, ოღონდ მექსიკაში და არგენტინაში გავრცელებული, პეპლებზე მაქვს სადიპლომო ნაშრომიო.

— ვისა?

— ვისა და ანჟელა მერკერს!

— ვინ არის?

— იოკო ონო! ვაჰ, როგორ გიძღებენ სახლში?

— მიძღებენ რო, სიდედრს წნევა აქვს, სამი დღის წინ იყო სტუმრად და იმის მერე სულ წნევა აქვს!

— ასეთი რა ქენი!

— რა უნდა მექნა, დავათვრე! სადაა მერე ის გოგო?

— გავიდა გალმა!

— მოკვდა?

— ხიდს გალმა, კაცო!

— რომელ ქვეყანაში?

— დათვრა ეს, რა რომელ ქვეყანაში?

— პეპელა, კაცო!

— არგენტინა!

— არგენტინა, არ გეტყვია... ვაჰ, რა მაგარი რითმაა, არგენტინა, არ გენყინა, არ გეტყინა... ვიღაც ამბობდა, რითმების ბაზარიო, რომ გავყიდო, რამდენს მომცემენ?

— რაა?

— იცი, რა გითხრა, ძამა, რაცხა შეცვლილი მეჩვენებო, ის პეპელა გულში ხო არ ჩავივარდა, ჰა, გამოტყდი!

— გულში არა, გულში... — მაიცა, იქნება და დავეცასე, რომ გამოგლაპარაკებოდა ეს გრეტა გარბო თუ ვინც არის, მოიგონა, ჰა...

— მოიცა, რა!

— აბა, რომელი საათიაო, ხო არ გეტყვოდა, მოკლედ, დავეცასე, რა!

— არა, შანსი არ არის, რა დავეცასე, ასე მგონია, საერთოდ ვერ მხედავდა...

— ჰა... ნახე ბიჭო... ანუ ვერ გხედავდა, ფიქრობ, იმიტომ, რომ გინდოდა, დაენახე, გეუბნები, რა, შეყვარებული ხარ!

— ვინა, ბიჭო!

— დაიწყე ახლა, ვინა, ბიჭო, რათა, ბიჭო, სადა, ბიჭო... სადა და ჯომოლუნგმაზე...

— საგარმათხა მაინც გეთქვა!

— ეს რაღაა?

— ნეპალში ასე ეძახიან ჯომოლუნგმას!

— საგარმათხა არ ვიცი, მარა მაი თხაი იქნება, თავს რომ დაგაკარგვინებს! შეყვარებულ კაცს უცებ ეტყობა, რას მასწავლი! აბა, გამოტყდი... ჰა, ამბილე ხმა... — თან მაგიდაზე დოლი შემოცხო და ღიღინებს, — „ერთიც ვნახოთ დიპლომატიო ხმა ამბილოს“...

— ვერა ხარ, ხო იცი?!

— ვიცი, დავაი, თითოც ვხიოთ, მაიცა, სადღეგრძელო უნდა ვთქვა, მოდი, რა, პეპლებს გაუმარჯოს, აი, დაინახავ მინდორს ყვავილებიანს და ხვდები, რაღაც აკლია, რა აკლია?

— რა ვიცი, რა აკლია?

— პეპელა, ვირო! შენა ხარ მხატვარი? დასახვერეტი, ვინც შენ დიპლომი მოგცა!

— გამომივიდა ეს გურული სტალინი!

— სტალინი მაინც გეთქვა, რემბოს ბიძაშვილი... ჰოდა, მოდი, პეპლებს გაუმარჯოს, რომლებსაც ელი, ელი...

— ელი, ელი... ავლარელი...

— კარგი, რა... ხელს ნუ მიშლი, სომხურად ელი კი არა ქართულად ელი... ელი, რომ ოდესმე გამოჩნდებიან და მაშინ, როცა საერთო არ ელოდი, გულში ავიფრთხილდებიან. მერე იფრენენ, იფრენენ და უცებ ქრებიან, თითქოს დაიკარგებიან, მა-

გრამ მართლა კი არ დაიკარგებიან, მუცელში არიან, ახლა იქ გინყებენ ფრენას და მაშინ ხვდები, რომ ეს ის არის, რაც ყველანაირი ბრძანების გარეშე გულში, სულში, მუცელში და ფეხის ძირშია ჩავსახულდება. ჰოდა, მოდი, ამ პეპლებს გაუმარჯოს! — თქვა და კიდე ხუხა და კიდე დაიმხატა. მთავარია, დასაბმელი არ გახდეს.

— ხო, კაი, პეპლებისა იყოს, მაგრამ ფეხის ძირას რად?

— ბიჭი, იმას რად არ კითხულობ, მუცელში რათაო, გულში რათაო, გულში რათაო... მოიცა, მოდი, შევამოწმოთ! მოდი, აბა, დავგუგლოთ, გრეტა გარბო თუ როგორ არის ეს პეპელა? — ამბობს და ტელეფონს იღებს.

— გრეტა ოტო!

— ისწავლა ბიჭმა... ოკეი, კაი დავგუგლოთ, გრეტა ოტო, ხო? ნახე, მართლა ყოფილა პეპელა გამჭვირვალე ფრთებით.

— აბა, მოიცა, თუ გამჭვირვალეა, როგორღა ჩანს?

— მე რა ვიცი, აქ ასეა ინფორმეიში, აი, ნახე, სურათებიცაა, კიდევ ჩანს მხოლოდ, თან რა პოეტურად წერია... „მისი ხილვა დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებთ ბუნების მოყვარულთ“... მოიცა, რა ჰქვია?

— პეპელას?

— რა პეპელას, იმ გოგოს?

— მე რა ვიცი, რა ჰქვია?

— ვირო, სახელი არ უნდა იცოდე?

— საიდან უნდა ვიცოდე? მობოდა და გრეტა ოტო ხო არ დავინახავსო, მე სახელი მეკითხა?

— ბავშვობაში არ გასწავლეს, რომ უცნობს არ უნდა გამოელაპარაკო?

— თუ არ გამოელაპარაკე, სულ უცნობი იქნება...

— ესეც მართალია. გამოდის ესთეტი ყოფილა ის გოგო.

— ესთეტი რატო?

— ესთეტიკური სიამოვნება რომ მიიღო, ესთეტი უნდა იყო, ვირო რა იცის, ხურმა რა ხილია და ხურმის ოტკა....

— ალეს ტელეფონი რეკავს. დახედა, უი, სიდედრიო და და ისე დაემანჭა სახე, თითქოს ოტკას ხუხავდა, არადა, ერთხელ მყავს ნანახი და არ არის ცუდი ქალბატონი, იუმორის გრძობაც უხვად აქვს მომადლებული.

— დიახ, რაჟდენოვანა, გისმენთ!

— რას შვრები? — მეც მესმის ხმა, თათია იყო, ალეს მეუღლე.

— შენ რას შვრები? არ აპირებ სახლში? სტუმარი მყავს, ოთიე, მოვკალი ჯონჯოლის ჭამით, ხაჭაპური მაინც დაგეცხო!

— დაგრეკა, ადრე წამოვიდოდი! არ ნახვიდარსად, ცხრისთვის მოვალ, გასაღები არ მაქვს, იცოდე! არ გადაწვთ სახლი!

— სა ნავალ?

— თუ მარსზე წავა, გასაღები ტილოს ქვეშ დატოვოს! — მესმის ტელეფონში რაჟდენოვანას ხმა.

— კაი, კაი! — თქვა ალემ და გათიშა ტელეფონი.

მე სიცოცხლე ვერ ვიკავე. მიხვდა ალე, რომ სიდედრის ნათქვამი გავიგონე.

— ა, რა ხალხში მაქვს საქმე, მოდი, რა, თავისუფლებას გაუმარჯოს, ფეხებზე რომ გკიდია მთელი სამყარო!

— მაგას ეძახი შენ თავისუფლებას?

— აბა, რა არის თავისუფლება?

— „თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია!“

— ლომებს სხვა თავისუფლება აქვთ...

— სხვა თავისუფლება არ არსებობას, თავისუფლება ერთია...

— როგორ არ არსებობს... აი, შენ, ცოლი არ განუხებს და შვილი! სიდედრი და სიმამრი! ხარ თავისუფალი...

— ორნაირად შეხედე, შეიძლება, ყველაფერმა ამან, რაც შენ თქვი, მეტი თავისუფლება მოგცეს!

— რაცხას ფილოსოფოსო ახლა!

— სილიბისტრო რას გვეუბნებოდა, ხო გახსოვს, განათლება გვაძლევს თავისუფლებასო!

— მოიცა რა, რამდენი განათლებული ადამიანი დაუტყვევებიათ!

— მერაბ კოსტავა, იცი, რას ამბობდა, ადამიანი ციხეშიც შეიძლება, თავისუფალი იყოს, ან გარეთ იყო და ციხეში გრძობდე თავსო!

— ასეა, რა...

— აი, დედამინა, ციხე არ არის? იქნებ სხვა პლანეტაზე მინდა, გავიგო რა ხდე-

ბა?! ან სიბრძნე რა საზომით იზომება?

— აიქუთი...

— რომელი პოეტი ამბობდა — „...სი-სულელეა, ყველაფერი სისულელეა...“

— ეს ლექსიც სისულელეა?

— არა, რატო? ძალიან მაგარია!

— თუ ყველაფერი სისულელეა, ეს ლექსიც ყველაფერში შედის...

— მოიცა, მამ სიბრძნე სადღაა?

— ის გამახსენდა, სოლომონ ბრძენი რომ ვირს ეუბნება, შენ ყოფილხარ ბრძენი და მე ვყოფილვარ ვირო... ხო იცი, აი, ამბავი...

— დაახლოებით!

— მოკლედ დაათვრეს ერთ ქორწილში სოლომონ ბრძენი ისე, რომ ყველა გასაღები დაკარგა...

— რა გასაღები?

— სახლის, ჭიშკრის, სეიფის, ფეხსაბუქის... გატივალდა რა... ჰოდა, მოდის მეორე დღეს სახლში მაშინდელი ზმე-თი, ვირით ანუ...

— ცხენი მაინც გეთქვა...

— ვირით-მეთქი, ცხენი მერსედესია...

— იპოვა გასაღებები?

— კი ნაწილობრივ, მოდის, პახმელიაზეა, თავი უსკდება...

— მაშინაც იყო პახმელია?

— კი, ნოეს მერე ასეა... ჰოდა, შეხვდა პატარა წყარო... დალია სოლომონ ბრძენმა წყალი, დალია ვირმაც... დაადგა ვირს სოლომონი თავზე, დალიე კიდო — ეუბნება. უარზეა ვირო, ვერ დალაღვინა ზედმეტი ვერაფერი. ჰოდა, შენ ყოფილხარ ბრძენი და მე ვყოფილვარ ვირო...

\*\*\*

მოვდივარ ალესგან. ცხრის ნახევარია, ცხრაზე სახლში უნდა ვიყო, თუ გარეთ პატრული შემინიშნავს, ორი ათასი ლარი ჯარიმია. ეს რომ გადავიხადო, რამდენი ნახატი უნდა გავყიდო ძველი თბილისის პეიზაჟით. კარგად ვარ შეუჭუნებული და ჩაბუჭებული. თრობის იმ ეტაპზე ვარ, მიუხედავად ამ პანდემიისა, სიცოცხლე რომ გიხარია, ფეხიც არ გემლება! ქუჩაში არავინ ჩანს, ნიღაბსაც ვიხსნი, აი, ეს არის თავისუფლება, ღრმად ვისუნთქავ საღამოს თბილისურ ჰაერს, მთელი დუნი ჩემი მგონია, ძრწოდეთ, მტერნო, ჩემი ქვეყნისა, ახლა სადმე თემურ-ლენგიც რომ შემხვდეს, კუდიტ ქვას ვასროლინებდი, არადა, რვაჯერ იყო ჩამოფლანი ის ჩემისა, ან არ ეზარებოდა ცხენით ჯაყყაყი, ფრენები ხო მაშინაც არ იყო — თბილისო, რა ანდამატი გაქვს ასეთი, ყველა რჯულის ვიგინდარასა და დამპყრობელს შენ რომ იზიდავ?! თემურ ლენგი და შაჰ-აბასი არა, მაგრამ მეტყვის ხიდზე ვიღაც გოგო დგას... ისიც უნიღბოდ, გამხდარი, სიფრიფანა... ბარათაშვილის ხიდზე რომ გოგონების ქანდაკებები დგანან, იმათ ჰგავს — ერთი აქეთ ხომ არ გადმოვიდა? უი, იგივე თხელი საზამთრო ჩალისფერი ქურთუკი და ჯინსის შარვალი... გრეტა გარბო... თუ როგორ არის... გრეტა ოტო... „ესთეტიკური სიამოვნება“. რა ლამაზია! უცებ ეკლესიის ზარების რეკვის ხმა მოვიდა. ნამიერად მომეჩვენა, თითქოს გოგონას ფრთები გამოესხა, კიდეც კარგი, მხოლოდ წამიერად — ეტყობა, მეტი მომივიდა ალეს ხურმის ოტკის დაღევა...

— და შენ ის არ ხარ, გრეტა გარბოს რომ ეძებდი?

— გრეტა ოტოს!

— ხო, გრეტა ოტოს...

— კი, ის ვარ...

— ხო, უნიღბოდ ვერ გიცანი!

— ვითომ ნიღბით მიცანი...

— კი, გეთანხმები, ვერ გიცანი, იმ გოგონების ქანდაკებიდან ერთი მეგონე, და აქ რას აკეთებ?

— თქვენი საქმე არ არის!

— არ მითხრა ახლა, უნდა გადავხტეო?!

— ჰო, უნდა გადავხტე!

— მოიცა, რა, მართლა უნდა გადავხტე?

— საქმე არა გაქვთ? გაიარეთ რა!

— ასე პეპლისთვის ნერვიულობ?!

— არა ჩემი გულისთვის, თავს ვეპატიობ, გრეტა ოტო დავკარგე.

— იქნებ მოგეჩვენათ, თუ მხოლოდ არგენტინასა და ბრაზილიაშია...

— მექსიკაშიც!

— ჰო მექსიკაში, ამ ზამთარში აქ როგორ მოფრინდებოდა, მით უმეტეს, პანდემიის გამო ფრენებიც არ არის.

— ელადავე მიკლუხო მაკლას!

— ადრე ჯო დასენსო, ამბობდნენ.

— ეს როდის იყო?

— არ ვიცი, არ მახსოვს, იცით, გოგონა, ძალიან გთხოვთ, რა, მოშორდით მოაჯირს, გაფრთხილებთ, ცურვა არ ვიცი!

— რაში მაინტერესებს, თქვენ რა იცით?!

— და წყალიც ახლა ძალიან ცივი იქნება და გაცივდებით!

— რა თქვენი საქმეა, რა მომივა? იქნებ გააგრძელოთ გზა!

— იცით, რა? მე გირჩევთ, თუ მაინც გადახტომას აპირებთ, ტაძრის ზარების ხმას რომ გაიგონებთ, მაშინ გადახტით!

— ვითომ რატომ?!

— სადღაც წამიკითხავს, როცა ზარები რეკენ, ანგელოზს ფრთები უჩნდებაო. თუ ანგელოზი ხარ, გადარჩები... ისე, ცურვა იცით?

— არა!

— მოკლედ, გადახტომა გამორიცხებთ, მალე ცხრა გახდება, სად ცხოვრობთ?

— რა შენი საქმეა?

— უბრალოდ მაინტერესებს!

— ვარკეთილში.

— ახლა ტაქსისაც ვერ იშოვით. მეტრომდე რომ იჩქაროთ, სახლში მაინც ვერ მიასწრებთ. ზედმეტი ორიათასი ლარი თუ არ გაქვთ, შემოიღებ, ჩემთან დაგაბატოთ.

— თქვენ გგონიათ, ვიღაც უცნობ მაკაცს სახლში გავყვები?

— უცნობი რატო, შუადღით უკვე გნახეთ, თან ახლა რომ დაგინახეთ, გიცანით, არა? ანუ საუკუნის არა, მაგრამ ნახევარი დღის ნაცნობები ხომ ვართ?!

— თქვენ ფიქრობთ, ნაცნობობა მარტო მეორეჯერ ნახვას ნიშნავს?

— ახლა, ასე თუ გავყვებით, ჯერ ხუთ ფუთ მარილამდე მივალთ...

— ცხრა!

— მთლად უარესი... თან, მგონი, ძველი რომაელების სიტყვებია, შეიცან თავი შენიო...

— ამას ძველი ბერძენები ამბობდნენ და არა რომაელები.

— რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ამბობდა, აზრია მთავარი. ანუ ადამიანი, სხვა იცნოს კი არა, საკუთარი თავის შეცნობაშია მთელი ცხოვრება!

— იქნებ და მანიაკი ხართ?!

— მანიაკი არა, მალიარი ვარ, თუ ოდნავ გავალამაზებ, მხატვარი...

— მალიარი ან მხატვარი არ შეიძლება, იყოს მანიაკი?

— გამორიცხულია!

— მხატვრები არ ხართ სანდო ხალხი, შიშველ ქალებს ხატავთ...

— ჩაცმულბასაც ვხატავთ. იცით, გამოგიტყდებოდა, როგორც კი დაგინახეთ, ძალიან მომინდა თქვენი დახატვა ზუსტად ასე — ჯინსით, კურტკითა და ნიღბითაც, რომელიც მაშინ გექეთათ. თან უფალი ხატავს, ჩვენ გადახატვები ვართ!

— ღმერთს ნუ სცოდავ, პავლე... თუ რა გქვიათ?

— ოტო...

— იცი, რა, ყველაზე საშინელი ადამიანი ხართ, ვინც ოდესმე შემხვდრია... და ძალიან ვნანობ, რომ საერთოდ გნახეთ!

— უცებ ვერ მივხვდი, რამ გააბრაზა. ისე, დიდად არასდროს მხილავდა ჩემი სახელი, რაც პასპორტში მინერია, ანუ ოტო, ნაცნობები ოთარს მეძახიან, ახლო მეგობრები კი — ოთიას. რა ჩემი ბრალია, თუ ჩემი ნათლია, საბავშვო ბაღის დარაჯი, რომელმაც მიპოვა ჩვენებში გახვეული ჭიშკართან, ოტო ბისმარკის ფანი იყო, დიდი გერმანული იმპერიის შემქმნელის. მართლა ოტო მინერია პასპორტში.

— რა დავაშავე?

— იგონებთ, რომ ოტო გქვიათ! ახლა მივხვდი, თუ რატომ გაბრაზდა — ისევე ეს გრეტა ოტო...

— და თქვენ რა გქვიათ?

— გრეტა!

— მეციხეა.

— ჰუმორის გრძობაც უხვად გაქვთ!

— სასაცილო რა ვთქვი?!

— გრეტა რომ გქვიათ!

— და თქვენ რომ ოტო გქვიათ, მე დაცინეთ?!

— უცებ, ორივემ ერთდროულად, თითქოს შეთანხმებულბა, პირადობის მოწმობები ამოვიღეთ, სადაც ქუჩის განათების ფონზეც კი კარგად ჩანდა სახელები — გრეტა და ოტო.

— ალბათ არც უნდა დამეწერა, ჩემს ნაქირავებ ბინაში რომ მივედით ვერცხლის ქუჩაზე, ზუსტად ცხრა საათი იყო...



სოფო წულაია

**ქალაქი თოჯინა**

„ძველ სახლს ანგრევენ.  
დაზარული თოჯინა ტირის —  
ამხელა სახლის ერთადერთი ჭირისუფალი...“  
ვახტანგ ჯავახიძე

ჩემთან ერთად გაქალაქავდა  
ჩემი პირველი გერმანული ქერა თოჯინაც...  
როგორც მასსოვს, ოქროსფერ თმაში  
პირველი ვერცხლი მაშინ გაუკრთა,  
როცა მისმა პლასტმასის გულმა პირველად იგრძნო,  
რომ დაშრა ჩვენი სიყვარული —  
ზუსტად ისე, როგორც ცრემლები,  
მაშინაც რომ არ დასცდენია,  
როცა მეზობლის პატარა გოგოს  
გულწრფელი თხოვნით  
მინაში ჩავრგე მისი სუფთა, თხელი სხეული.  
მაშინ ჯერ კიდევ გრძნობდა  
ციცქნა პლასტმასის გულით,  
სიკვდილისთვის რომ ვერასოდეს გავიმეტებდი —  
რამდენიმე დღე გაივლიდა, მომინდებოდა,  
ნაწილ-ნაწილ ამოვკრეფდი,  
მინიან ფეხებს ყურადღებას არ მივაქცევდი  
და გულში მთელი ძალით ჩავიხუტებდი...  
ნანატრი ნამის დადგომამდე კი  
ინვა მისთვის გაჭრილ საფლავეში  
და თოჯინისთვის ზედმეტად მშვიდად,  
გმირულადაც კი,  
ითმენდა მატლებისა და ჭიების ფუთფუთს  
სლიპინა კანზე.  
არ ეშინოდა — იცოდა, რომ  
ერთ გრამ ხორცსაც ვერ ააცილებდნენ...  
ახლა კი ჩემი ბავშვობის სახლის ძირგამომპალ იატაკზე  
წევს სულდამსხვრეული  
და იცის, ველარასდროს რომ ვერ შევხვდებით.  
ლოდინის შხამით გადაღვნილი სახეზე  
წვრილ ნაოჭებს ისე ითვლის,  
თითქოს, მისმა ბავშვურმა მზერამ  
ჩვენი უერთმანეთოდ გატარებული  
წლები და დღეები გამოისხა;  
ამ ამბავში კი უცნაური, იცით, რა არის?  
მის ტანზე ამოლიანდაგებული  
ყოველი ახალი ნაოჭის ხაზი  
ჩემს მომავალსაც ისევე სერავს,  
როგორც მის წარსულს;  
ანმყოფი კი უკვე ჩემი პლასტმასის გული გრძნობს,  
საბოლოოდ რომ დაშრა ჩვენი სიყვარული.  
კიდევ კარგი, შვილების ყოლა მაინც მოვასწარით —  
გოგოს და ბიჭის — ზუსტად ისე,  
როგორც ყველა ჩვენნიანს ჰყავს —  
ტრადიციულად,  
სტანდარტულად,  
სავალდებულოდ,  
ბანალურად,  
პროზაულად,  
არითმეტიკული სიზუსტით,  
გეომეტრიული თუ ფსიქოლოგიური  
გათვლებითა და გამოთვლებით...  
ვგრძნობ, რომ დაშრა ჩვენი სიყვარული  
და ვცდილობ, მეორეჯერ იქ აღარ შევბრუნდე,  
საიდანაც გამოვალნიე —  
უკან — ბავშვობაში —  
ფეხმოტეხილი სიყვარულის სათავეებთან.

**შენი კატა, ჩვენი სიყვარული**

იცოცხლე, როგორი სიყვარული მომენატრა?  
მივლინებიდან გამთენიისას რომ ბრუნდებოდი,  
ჩვენს პატარა და მაინც ძალიან დიდ სახლში  
ფეხბაკრებით შემოდოდი,  
გეგონა, მეძინა,  
მე კი სავარძელში კატასავით მოკუნტული გხვდებოდი  
და ეჭვნარევი ხმით გეკითხებოდი:  
— კარგი იყო იმ ქალთან?  
შენ მწარდებოდი, ბოლო ხმაზე მიღრიალებდი  
და იმ წამსვე გხვდებოდი, რომ არ მატყუებდი,  
თან მიხაროდა, რომ გამწარდი და გენყინა...  
მერე ყავას ვსვამდით ჩვენი საყვარელი ჭიქებიდან,  
შენ მაქრით, მე — უშაქროდ  
და ერთმანეთისგან სიტყვებს ველოდით.  
მაგალითად, ასეთს:  
— გინდა, ფილმს ვუყუროთ?  
ან: — ძალმა საჭმელი შეჭამა?  
ან: — რა საყვარელი ბენჯი აქვს არა, ჩვენს ძალს?  
როგორ მოუხდა ახალი შამპუნი...  
მაგრამ ვდუმდით...  
სხეულში მარტო ყავის სურნელი ჩავგვიდოდა.  
ჩვენ გარშემო ყველაფერი შრიალებდა  
— ჩვენი ისევე ვდუმდით...  
მერე თავიდან იწყებოდა...  
რატომ უნდა მოგენატროს ასეთი მდუმარება,  
მაგრამ ახლა უცებ ძალიან მომინდა  
ძველ ამბებში დაბრუნება,  
კიდევ: პასქა, აღდგომას რომ გამომიტყუე —  
ქიშმიშით და ცუკაკებით ისე იყო გაძეძვლილი,  
ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მეგონა;  
კიდევ: თოვლი, იქამდე რომ გამიკვალე,  
სანამ ერთად გავივილიდით;  
ჩვენი ძალი, ყოველთვის რომ ერთად ვბანდით  
და თუკი ჩვენი ხელები მის ბენჯში შემთხვევით  
ერთმანეთს გადაეყრებოდნენ,  
უხერხულობის გასაფანტად  
ძალს იმაზე ბევრად დიდ ხანს ვბანდით,  
ვიდრე საჭირო იყო  
და შენი თეთრი კატა, რომელიც მძულდა,  
შენ კი მთხოვე, მარტო ერთხელ მოეფერეო.  
შენი ხათრით თავზე ხელი გადავუსვი,  
შენ კი მაჯაზე ხელი ჩამკიდე და  
ჩემი ხელი მის თბილ ზურგზეც გადაატარე,  
— ხომ გიყვარსო?..  
— მიყვარს-მეთქი, — თან შიშისგან ვცახცახებდი.  
— კატები უნდა გიყვარდესო,  
როგორ შეიძლება, კატა არ გიყვარდესო...  
მერე კი მთელი ღამე კატების წვიმა მესიზმრებოდა,  
დილით მეგონა,  
კატის ბენჯში ამომავლეს ჩურჩხელასავით,  
ორი საათი შხამის ქვეშ ვიდექი —  
თითქოს, ღამის კომპარს ჩამორეცხვას ვუპირებდი...  
ზოგჯერ ის სიყვარული მენატრება,  
შენ რომ გგავს და მე მგულისხმობს,  
სიყვარული, რომელიც ალბათ,  
სიტყვებში თუ გაცოცხლდება,  
ჩვენს ძველ სახლში კი,  
გუშინ შემთხვევით რომ შევიარე,  
სულ სხვა წყვილის სულ სხვა ამბავი იწყებდა დუღილს.  
ისეთი კარგები არიან —  
ჩვენზე ბევრად ღამაზები, ახალგაზრდები...

— სად მიდის, ან რატომ მიდის სიყვარულიო? —  
გოგომ მკითხა,  
მე კი ვუთხარი: — მიდის, მაგრამ არ გაუშვია,  
არ დაუშვია,  
რომ აორთქლდეს და თუკი მაინც აორთქლდება,  
ნარჩენები კედლებიდან და  
ჭერიდან ჩამოფხიკე და ჩაიდანში ჩააბრუნე...  
დილაობით ყავისთვის წყალს რომ აადულებთ,  
იქ დაგხვდებათ,  
ყავას მაინც ხომ უნდა ჰქონდეს-მეთქი  
ძველი სიყვარულის გემო და სურნელი.

**გადამალვა**

მომკლა...  
გვამი გადამალა — ზემოდან ფიჩხები დააყარა.  
მითხარით, აბა, რანაირად არ გამოვჩნდებოდი?! —  
ყველა ლიობიდან და ღრეჭოდან ვლრიალებდი,  
ფფუთფუთებდი, ვნიოკობდი, შეემინდა,  
ზემოდან ხის სახლი დამაშენა —  
ორნამენტებიანი აივნით, რკინის კარებით,  
სანდო საკეტიო  
ისეთი, როგორზეც სულ ვოცნებობდი(თ).  
ვინ აშენებს სახლს გვამზე,  
ვის შეჰყავს ასეთ სახლში  
ფერად-ფერადი მინებისგან გამოთლილი შვილები  
ადამიანებქვეშ გამოჭყლეტილმა ძვლებმა  
ფესვები გაასავსავეს,  
მკლავები აიკაპინეს და  
სახლის სიმძიმე თავიანთ მხრებზე იტვირთეს,  
ყურებს მთხრიდა  
იქ მცხოვრებთა ხმაური და მძვინვარება,  
ყოველ ღამე გვამებს თხრიდა  
ყურდაჭრილი, ჭუჭყიანი შავი ძაღლი.  
ჩემი ამოთხრა კი არავის მოაფიქრდა;  
ხერხემლიდან მკერდზე,  
მკერდიდან ისევ ხერხემაღზე ვბრუნდებოდი,  
თან გამუდმებით  
წონასწორობის უცნაურ ანბანს ვიზებოდადი,  
სახლში მყოფები რომ არ აყირავებულყვენ...  
ერთხელაც ავდექი და  
საძინებლის შუაგულში ხედ ამოვიზარდე —  
გაზაფხულზე ღამპიონები გამოვისხი და  
სიბნელე ვშთანთქმე;  
ზაფხულში ხელის გულზე გზები ამოვისვირინგე  
და ყველანი ზედ ვამოგზაურე;  
შემოდგომაზე ხორბალი, ზეთისხილი და  
ნითელი თევზები გამოვისხი  
და ყველანი დავაპურე;  
ზამთარში მომჭრეს და ჩემი ჯერ კიდევ სისხლიანი,  
სველი ტოტები ბუხარს შეუკეთეს;  
საკვამურმა ცას ადამიანის სურნელი შეაბოლა...  
გარეთ ციოდა...  
ვინ აშენებს სახლს მიცვალებულის გვამზე? —  
ვკითხულობდი;  
„თუ ღმერთი არ დარაჯობს სახლს,  
ამაოდ შვრებიან გუშამანი“ — მპასუხობდნენ;  
და როცა ერთხელაც ეს სახლი ჩამოიქცა,  
ყველანი ქვეშ მოყვენენ, მაგრამ გადარჩნენ —  
არ მინდოდა ჩემს ლექსში რომ მომკვდარიყვენ...  
საერთოდ არ მინდოდა მათი სიკვდილი —  
არც ლექსში, არც ჩემს ცალფა,  
ოღრო-ჩოღრო სიზმრებში,  
— ვის შერჩენია ადამიანის მოკვლა? — ვკითხულობდი.  
— „არა კაც კლა“ — მპასუხობდნენ.  
მე ის მძულდა,  
მე ის მიყვარდა,  
დაუმარხავი მიცვალებულივით ყარდა ჩემი სიყვარული,  
გარეთ ციოდა.

**სიყვარულის მუხაუმი**

თუ ვიქნებით თანმიმდევრულები და  
გავიხსენებთ, ჯერ რა იყო,  
ჯერ იყო ის, რომ მე და შენ მოგვკლეს...  
მერე იყო ის, რომ აუტანელი სიცარიელისგან  
წელში განწყვეტილ კარადას  
ოთხივე ფეხი რომ მოტყდა,  
აივნისკენ გადაყირავდა და პირდაფრენილი უჯრებიდან  
ყველა ჩვენი საიდუმლო გამოყარა —  
ფანჯრიდან ეზოში გადაისროლა ყველა ამბავი,  
რომლებსაც მე და შენ წლების განმავლობაში  
საგულდაგულოდ ვმალავდით —  
რატომღაც გვეგონა,  
ცხოვრებაშიც და ჩვენს ერთად ყოფნაშიც  
მთავარი ამბავის კარგად გადამალვა იყო  
და ვმალავდით, ვმალავდით —  
სულ რალაცას ვმალავდით;  
მერე კი, როცა აღარაფერი  
აღარ დაგვრჩა გადასამალი,  
ერთმანეთისთვის და ერთმანეთის ამბავის მალვაში  
დავოსტატდით,  
მერე მოგვკლეს...  
არა მგონია, ვინმეს გადამალვების გამო მოვეკალით,  
თუმცა, შეიძლება, ასეც ყოფილიყო...  
რას გაიგებ...

ამ ქვეყანაში ხომ ვერასდროს ვერაფერს გაიგებ —  
 სიმართლეს, მითუმეტეს...  
 მარტო ის მასსოვს, როგორ გვესროლეს —  
 ერთმანეთის გვერდზე ვინეჭით,  
 გაყინულ სხეულებს  
 სისხლიანი ზენრები გვილოკავდა  
 და რატომღაც, ვერც ერთი ვერ ვგრძნობდით,  
 რომ დავმთავრდით —  
 რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ  
 ჩვენში და ჩვენს ერთად ყოფნაშიც  
 გადამალულებს გრძელი სერია

ჯერ კიდევ გრძელდებოდა.  
 ახლა ჩვენი პატარა ოთახი ნაფტალინის და  
 სიძველის მხუთავ სურნელს აფრქვევს,  
 ჩვენი სახლის ტლანქი სხეულის ტემპერატურა კი  
 იმდენად მაღალი და აუტანელია,  
 რომ ერთ დროს შიგ კოხტად ჩაკეცილ ყველა ამბავს  
 ვადა გაუვიდა  
 და ისე გაფუჭდა, გადაჩიქნაც კი ყველას დაეზარა —  
 საზარელია და იმიტომ.  
 დღეს ის ადგილი, სადაც ერთმანეთს სიყვარულით,  
 შუშის კედლებს კი შიშით ვეკვროდით,  
 თავმოხუფულ ამფითეატრს დაამსგავსეს.  
 მთავარ კედელზე მიხრახნილ

მევირაღასათაურიან ყუთში  
 ფულის ჩაძახების შემდეგ უცნობი ქალი ყველას,  
 ვინც კი ჩვენს დათვალეობებს  
 და ჩვენი ამბის ყიდვას გადაწყვეტს,  
 გამაღიზიანებლად პროვინციული აქცენტით  
 და კიდევ უფრო გამაღიზიანებელი  
 მანერულობით უყვება,  
 როგორ გვიყვარდა ერთმანეთი.  
 მე და შენ არ გვაღელვებს, რომ მოვკვდით,  
 არც ის, არავის რომ აღარ აღელვებს ჩვენი ამბები,  
 ისიც კი არ გეტყვივა,  
 საგულდაგულოდ გადამალული ისტორიები  
 აუქციონზე რომ გამოფინეს და არავინ იყიდა...  
 არადა, როგორ არ გვინდოდა,  
 როგორ გვეშინოდა, რომ ეს ოდესმე მოხდებოდა...  
 ახლა მთავარი იცი, რა არის? —  
 ის, რომ ერთად ვართ,  
 რაც იმას ნიშნავს,  
 რომ თურმე, მართლა ძალიან გვყვარებია ერთმანეთი,  
 მაგრამ დღეს სიყვარულით ვის გააკვირვებ? —  
 მოდიან, გვათვალეობენ,  
 მიდიან და სიყვარულზე ერთხელაც არ გაეფიქრებათ.

**ქვემოთხაზი ლექსი**

— ქსოვა ვინ გასწავლა? —  
 ვეკითხები ჩემს 92 წლის ბებოს,  
 ის კი მიყვება, როგორ თოხნიდა ბაბუაჩემი ყანას.  
 — მე არ ვთოხნიდი,  
 არასდროს გამომდიოდა მინასთან მეგობრობა,  
 მე და მინას ცუდად გვესმოდა ერთმანეთის,  
 ბაბუაშენს კი უნდოდა,  
 სულ მის გვერდით ვყოფილიყავი,  
 როცა გვერდით ხარ, დაღლას ვერ ვგრძნობო,  
 მეუბნებოდა,  
 მეცოდებოდა და არასდროს ვშორდებოდი.  
 ზოგჯერ ცივ წყალში გაზავებულ მანონს ვასხამდი  
 მის დაღლილობას  
 და მცხუნვარე მზისგან მიღებულ კანის დამწვრობებს,  
 ვუყვებოდი ფერად ზღაპრებს იმაზე,  
 როგორ შეიძლება შავი მინა პურად იქცეს,  
 ჭუჭყიანი მდინარე — რძედ,  
 რძეში მზის სულ რამდენიმე სხივის ჩანვეთება კი  
 როგორ ინვევს მის აჭრასა  
 და მზის ფორმის ყველად გადაქცევას...  
 მე ველარ ვუსმენ...  
 — რატომ ხართ ცალ-ცალკე, სულ ერთად უნდა იყოთ  
 შენ და შენი ქმარი — მეუბნება,

თან ძილი ერევა.  
 — სამსახური გვაქვს ასეთი, სულ ჰაერშია,  
 ყველგან ხომ არ გავყვები, სადაც წავა, არა?  
 — ყველგან უნდა გაჰყვე, ბებო — მეუბნება  
 და უმნოდ გაღუნულ თითებს თავზე მისვამს,  
 სქელ თმებშიც აღწევს მისი დაღლილი ხელების სითბო.  
 — მინდა, ჯემპირი მოვუქსოვო,  
 რამდენ თვალზე დავინყო?  
 — მოუქსოვე, ბებო, მოუქსოვე,  
 უბრალოდ სულ მასთან უნდა იყო,  
 არასდროს არ უნდა მიატოვო.  
 — რამდენ თვალზე დავინყო?  
 — არ მახსოვს.  
 — ბაბუს რამდენ თვალზე უქსოვდი-ხოლმე?  
 — ასზე.  
 — მეც ასზე დავინყო?  
 — არ ვიცი.

ქსოვას ვინყვებ...  
 როცა ქსოვ, სხვა რამეზე ფიქრი ყველაზე ადვილია,  
 შიგადაშიგ ჩაშლილი თვლები კი გამოგაფხიზლებს  
 და ხვდები,  
 ასე საქმის კეთება რომ არ შეიძლება,  
 მაგრამ ქსოვა ოხერია,  
 თითქოს, ძალით გექაჩება ფიქრებისკენ,  
 ფიქრები კი წარსულისკენ მიგაქროლებენ.

100 თვალზე ვინყვებ შალის პულოვერის ქსოვას,  
 ჩემს ხელებს კი ხის ძაფის სიხისტე და  
 სუსტი ჩხვლეტა ახსენდება...  
 ფიქრებში 90-იანი წლების დასაწყისის  
 ცივი ზამთარი დგება,  
 დრო, როცა თბილისმა ჯერ კიდევ იცოდა,  
 რას ნიშნავდა თოვა...  
 გერმანიიდან დევნილებისთვის გამოგზავნილი  
 ჰუმანიტარული დახმარების ყუთში  
 უზარმაზარი ნინილისფერი, ღუნღულა სვიტერი გდია.  
 ჩვენს ოჯახში ყველა დევნილია,  
 ამიტომ ყველა ერთმანეთზე გამხდარია —  
 ეს თბილი ზედა ვერავისაც ვერ მოერგება.  
 — გადავავლოთ — ამბობს დედაჩემი.  
 — ხომ არ გაგიჟდი — ეუბნება ბებო, —  
 მომეცი, ვერ ხედავ, რა თბილია? —  
 თან ნაღმა-უკულმა აბრუნებს.  
 — დავშლი და ბავშვებს ქუდებს მოვუქსოვ.  
 — ჩხირები არ გვაქვს.  
 — მივიფიქრებ რამეს...  
 ცოტა ხანში, გატეხილი ქოლგის რკინის ჩონჩხიდან  
 ერთ ჩხირს აცლის და ქსოვას იწყებს.  
 მეორე დღეს სკოლაში ნინილისფერი ქუდით მივიღივარ  
 და მგონია,

თავზე მზე მახურავს —  
 ჩვენს შავ-თეთრ ქალაქს ცოტათი მაინც ვეხმარები,  
 გაიღიმოს, ანუ უფრო ნათელი გახდეს.  
 არასდროს მოსწონდათ კლასელებს  
 ჩემი ტანსაცმელი —  
 ზედმეტად ლარიბული იყო იმისთვის,  
 რომ მოსწონებოდათ,  
 თუმცა მაშინ ყველას ლარიბულად გვეცვა,  
 ყველას ერთნაირად გვეცოდა,  
 მაგრამ დევნილ ბავშვებს  
 ცოტათი უფრო მეტად სციოდათ.  
 — ბებომ მომიქსოვა — ვამბობ ამაყად.  
 — ჩვენც გვინდა — წამოიძახა რამდენიმემ.  
 ერთი კლასში ყველაზე პოპულარული გოგო იყო —  
 მის გამოვლებას ვენდობოდით.  
 — ვეტყვი ბებოს — ვამბობ.  
 ორ კვირაში ყველას ერთნაირი ქუდი გვახურავს  
 და დამტვრეულ ხის მერხებზე,  
 თითქოს, სოკოებივით ამოზრდილები,  
 90-იანი წლების სიმავეთერეს ვეხმარებით,  
 ოდნავ მაინც გაიღიმოს, ანუ განათდეს...  
 დღეს იმას, რაც მაშინ ჩვენს გაპარტახებულ  
 საკლასო ოთახში ხდებოდა,  
 ფოტოზე ღია ფერის ფილტრის დადება,  
 ან სამონტაჟო პროგრამაში

კადრის ამონათება მაგონებს,  
 მაშინ არც ერთი ვიცოდი, არც — მეორე,  
 მაშინ პატარა გოგონა ვიყავი მზისფერი ქუდით,  
 საღამოობით ბებო რომ ასწავლიდა ქსოვას.  
 ხის ძაფი უხეში, მაგრამ თბილია,  
 ხელზე უსიამოვნოდ გადაგიშლივინებს ხოლმე...  
 ძაფი, რომლითაც ახლა ვქსოვ,  
 გაცილებით რბილი და მსუბუქია,  
 ხელზე ისე გილიტინებს, როგორც  
 საყვარელი ადამიანის სუნთქვა ყურთან ახლოს.  
 ხის ძაფი კი ბებოს დამსკდარი ხელებივით იკბინება —  
 და 25 წლის მერეც გამორიყა პატარა,  
 თხელ თითებზე მისი ხმაურთან გადარბენების გემო,  
 — კარგად შემიხახავს შეგრძნებები —  
 ვფიქრობ, თან გაუჩერებლად ვქსოვ  
 და ვერც ერთი ჩემი კლასელის სახეს ვერ ვიხსენებ...  
 100 თვალზე მოქსოვილი ჯემპირი დიდი გამოდის,  
 ვგრძნობ, რომ ასეა, მაგრამ მაინც ვაგრძელებ ქსოვას...  
 — ეს დიდა, ბებო, — მეუბნება ფეხთან  
 დაბალ სკამზე მოკალათებული ბებიჩემი.  
 — შენ არ მითხარი?  
 — მე როდის გითხარი, დიდა, დაარღვიე...  
 — მთელი ღამე ვქსოვდი...  
 — თუ დიდი ექნება, რა აზრი აქვს შენს შრომას.  
 — მაინც ვაჩვენებ, გაუხარდება, რომ დავახვედრებ.  
 — თუ ვერ გამოიყენებს, არ გაუხარდება...  
 მოქსოვილს სინანულით დავყურებ, მერე კი ვარღვევ...  
 — რამდენ თვალზე დავინყო?  
 — არ ვიცი.  
 — ბაბუს რამდენ თვალზე უქსოვდი ხოლმე?  
 — 80-ზე.  
 — ასზე არ მითხარი?  
 — როდის გითხარი?  
 — დამანებე თავი.  
 — მე რას მიბრაზდები, შენ არ უნდა იცოდე,  
 შენი ქმარი რამხელაა?..


მე ყოველთვის თავის ზომას ვუქსოვდი.  
 — თავის ზომას როგორ უქსოვდი, თუ არ გახსოვს,  
 რამდენ თვალზე იწყებდი.  
 — ძალიანაც კარგად მახსოვს...  
 ქსოვას 80 თვალზე ვინყვებ,  
 ისევე წარსულში დაცურავენ ჩემი ფიქრები —  
 ქსოვას ისევე ხის ძაფის ხორკლების სურნელი ასდის.  
 წარსულში ბიჭს, რომელიც მომწონს, შარფს ვუქსოვ,  
 ბიჭი ჩემზე ერთი წლით დიდა,  
 მისი საკლასო ოთახი ჩემი საკლასო ოთახის  
 მოპირდაპირე მხარესაა.

ბიჭს ჩემს კლასში  
 ყველაზე პოპულარული გოგო მოსწონს.

ყველანი ერთნაირ დამტვრეულ მერხებზე ვსხედვართ,  
 დასვენებებზე ნავით გაჟღენთილ ნახერხზე  
 ერთნაირი აზარტით დავსრიალებთ,  
 ყველას ცუდი ნიშანი გვყავს  
 მათემატიკის ბოლო საკონტროლოში,  
 მაგრამ ეს წყვილი მაინც რალაცით  
 გამორჩეული და განსხვავებულია —  
 თითქოს, რამდენიმე თავით მაღლა დგანან ჩვენზე.  
 მაგალითად, მე ვერაფრით ვეგუებო,  
 რომ იმ გოგოსავით არ მიხდება ჯინსის შარვალი,  
 მე მოკლე ფეხები მაქვს,  
 არც მასავით თხელი ვარ და არც ლამაზი,  
 ხუჭუჭა თმებითაც  
 ვერ ვიქცევ გარშემომყოფთა ყურადღებას.  
 შარფი იქსოვება, ხორკლები თითებს მიკორტნის,  
 ბებო კი მეუბნება:  
 — რაზე ფიქრობდი, თვალეები გაგპარვია,  
 რამდენიმე ადგილას კი

მიმართულება გაქვს არეული...  
 ნაქსოვზე ლამფას გადამიტარებს,  
 შეცდომები უკეთ რომ დავინახო.  
 — არ ვარგა, დაარღვიე — ჩამძახის.  
 ვარღვევ და გადავწყვეტ,  
 არავის არასდროს არაფერი მოვუქსოვო...  
 ახლა კი ულამაზესი ძაფით,  
 ჩემი ქმრისთვის ჯემპირის მოქსოვას ვცდილობ.  
 — სულ ერთად უნდა იყოთ.  
 — არ გამოდის სულ ერთად ყოფნა.  
 — უნდა გამოვიდეს... მაჩვენე ერთი, რა მოქსოვე...  
 ეს პატარაა, ბებო.  
 — შენ არ მითხარი, 80-იო?  
 — უყურე ამას? მე მაგას არ გეტყობდი!  
 — კი, მითხარი.  
 — პატარაა ეს, დაარღვიე.  
 — მთელი ღამე ვქსოვდი.  
 — არ ვარგა, უნდა დაარღვიო.  
 — ხოდა, დავარღვევ და არაფერსაც არ მოვუქსოვ,  
 არ სჭირდება,  
 ისედაც მილიონი ტანსაცმელი აქვს — ვამბობ,  
 ვარღვევ და ბებოზე ვმწარდები...  
 — მაინც ვერ გაიხსენე, რამდენი თვალთ იწყებდი?  
 — ხომ გითხარი, 90-ით.  
 — დამანებე თავი...  
 ცოტა ხანში ისევე ვცდილობ ქსოვის დაწყებას.  
 — ბებო, ქსოვა ვინ გასწავლა? —  
 ვეკითხები, რომ როგორღაც მისი გული მივიგო.  
 — არ მახსოვს.  
 — როგორ არ გახსოვს.  
 — არ მახსოვს.  
 — რატომ არ გახსოვს?  
 — არ ვიცი.  
 — გაიხსენე.  
 — ჩემით ვისწავლე.  
 — რამდენი თვალი უნდა ჯემპირს?  
 — თვალეებში საერთოდ ვერ ვიხედები...  
 — მაგას არ გეკითხები...  
 — ნამალს კი ვინვეთებ,  
 მაგრამ მაინც ვერაფერს ვხედავ.

— რამდენი დავინყო?  
 — წნევის წამალიც არ მაქვს, გადადი ერთი აფთიაქში,  
 თუ რალაც ჯანდაბა ჰქვია.  
 — არ მოგიტან.  
 — რატომ?  
 — ჯერ მითხარი, რამდენი თვალი უნდა.  
 — არ მახსოვს.  
 — გაიხსენე.  
 — შენ უნდა იცოდე, შენს ქმარს როგორი მოერგება...  
 ჩემი ქმარი შენსაზე მაღალი იყო...  
 — მაღალი როგორ იყო, ძალიან დაბალი იყო...  
 — შენი ქმრის ზომა შენ უნდა იცოდე...  
 — არ მოვქსოვ არაფერს.  
 — მე ყველაფერს ჩემით მივხვდი...



# კომოდის სულ ქვედა უჯრა

ანას კარის მეზობლად ცხოვრობდა. ანაზე ოთხი წლით უფროსი იყო და უფრო კეთილი, ვიდრე უბნის ყველა ბავშვი ერთად. უცნაურად გამოიყურებოდა ეს სიკეთე, სისულელის ელფერი დაჰკრავდა, მაგრამ ვერც ანა და ვერც დანარჩენები ვერანაირ სისულელეზე ვერ აიღებდნენ ეჭვს, ვითარებაში უკეთ გარკვეულ უფროსებს რომ არ დაერთოთ ინსტრუქციები ყველა სცენისთვის, რაც კორპუსში, ეზოში თუ ქუჩაზე გათამაშდებოდა.

ერქვა ელისო. შავი თმა ჰქონდა და გრძელი ქვედაბოლოები ეცვა. მთელი კორპუსის ბავშვები დაბლა რომ იყვნენ სათამაშოდ, ის მეშვიდე სართულის აივანიდან გადაჰყურებდა ეზოს და ყურებამდე გაცივებული იქნეოდა ხელს. მეზობლის ბავშვები ერთმანეთის ბინებშიც იკრიბებოდნენ. ელისო კარს გამოაღებდა, სადარბაზოში იატაკის სანმენდ შალის ნაჭერს ფერთახვდა და მერე კარის წინ გვიდა.

მარცხენა ხელს თითქმის ვერ ამოძრავებდა, გალუული ჰქონდა. სახლიდან იშვიათად გამოჰყავდათ — სადარბაზოში თუ გამოეღებოდა კეობდა ბავშვებს. სიხარულისგან ჭკუიდან გადადიოდა, როცა მისი კარის წინ ბევრი შეიკრიბებოდნენ და ახორხოცდებოდნენ ხოლმე.

ანამ, სხვა ბავშვების მსგავსად, არ იცოდა, რა სჭირდა ელისოს. „ავადაა, ბებო“ სჭირდა. რით იყო ავად, არავინ იცოდა და არც აინტერესებდათ. დაუზუსტებელი დიაგნოზი არც მატებდა და არც აკლებდა რამეს იმ უპირობო სიყვარულს, უცნაურ და კეთილ გოგოს რომ უცხადებდნენ. ბავშვებს უნდოდათ, ელისოს მათთან ერთად ერბინა ეზოში, მაგრამ ის ათასში ერთხელ თუ ჩავიდოდა, მაშინაც სკამზე იჯდა და იქიდან იცინოდა.

\*\*\*

ანას მშობლებიც მუშაობდნენ, ბებიაც და ბაბუაც. სკოლიდან ბაბუდას გამოჰყავდა და საღამომდე მასთან იყო. ციალა ბაბუდას შეიღებდა არ ჰყავდა. გათხოვილიც სულ ოთხ წელიწადს იყო და მთელი ცხოვრება დაკარგულ სიყვარულს მისტიროდა. ყველაფერი ანასთვის უნდოდა — ყველა ბეჭედი, ყველა საალერსო სიტყვა. თან სულ მისი სიყვარულს იყო ჩასაფრებული, ლამის ევედრებოდა საპასუხო გრძნობის დასტურს. ამეცადინებდა კიდევ ამაში. ალბათ, ეშინოდა, რომ ანას ისე მტკივნეულად არ დააკლდებოდა, როგორც დედები და ბებიები აკლდებოდათ ხოლმე.

დაისვამდა და მეთათხედ უმეორებდა: რომ მოკვდებოდა, ბაბუდა, ისე იდარდებ, ისე იდარდებ, დაგეფლითება გულით და იტირებ, რა კარგი იყავი, ჩემო ბაბუდა, რა კეთილი, რა საყვარელი.


მართლა ეგრე ვიტყვებ? — ეკითხებოდა ანა და სანამ პატარა იყო, ნატრობდა, ნეტა მალე მოკვდეს ბაბუდა, რომ გავიგო, მართლა ასე ვიტყვებ თუ არაო.

ბაბუდას საძინებელში ტახტის თავზე ძველებური ჭრელი ხალიჩა იყო აკრული. ციალა ბაბუდა ანას ეუბნებოდა, ეს ორნამენტები მატარებლის გაჩერებებია და რომ გაიზრდებით შენ, გიულიკას ნათია, ფუნცხლია და ლოფოზია, რაჭაში რომ ივლით, გავივლით ამ გაჩერებებსო. და შაორთან რომ დადგები, ბაბუდა, გაგახსენდებიო.

\*\*\*

ერთხელ ელისო გარეთ ალაგებდა. ანა ეზოში ჩასასვლელად გავიდა. ნამო, რა, ჩემთან, რაღაც უნდა განახოო. არასდროს არავინ დადიოდა მასთან სახლში. მარტო იყო, დედაჩემი მალაზიაში წავიდაო. ანა საძინებელში შეიყვანა, საწოლის ქვემოდან კუბოკრული ჩემოდანი გამოიღო, საწოლზე დადო და გახსნა. ამოალაგა მაქმანებიანი პერანგები, ზოლიანი ჩაის ტილოები, ყვავილებდაქარგული პირსახოცები, ქათქათა ცხვირსახოცები. ჩემი მზითვია, დედა მიგროვებს, რომ გავთხოვდები, უნდა ნავილოო — ბედნიერი ღიმილით გამოუცხადა. ოლონდ არავის უთხრა, ჩემი საიდუმლოაო.

ანასაც გადაედო ბედნიერება. ნამოვიდა და რა აბედნიერებდა, ზუსტად არ იცოდა, მაგრამ უცნაურ სიხარულს ჰგვრიდა მეზობლის გოგოს საიდუმლო ოცნებაც და ისიც, რომ ეს ოცნება გაანდეს.



მეორე დღიდან დაიწყო სახლში საყვარელი ნივთების მონიშვნა. ყველას ეუბნებოდა, ესენი არ გამიფუჭოთ, მზითვში უნდა ნავილოო და ისინი სიცილით იხოცებოდნენ, საიდან აჩვენაო.

\*\*\*

ბაბუდას საძინებელში ანტიკვარული ხუთუჯრანი კომოდი იდგა. ზედა უჯრაში ფოტოების ყავისფერხავერდადაკრული ალბომი იდო. პირველ გვერდზე მაღალი ქალის ფოტო იყო ჩაკრული. გრძელი, წელში გამოყვანილი კაბა ეცვა, ფართოფარფლებიანი შლაპა ეხურა. ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა. ფოტო შავ-თეთრი იყო, ყვავილები — ფერადი. ეს ულამაზესი ქალი, ივდითი, ბაბუდას და ბაბუდას დედა, მომდევნო გვერდზე ჩაკრულ კუშტ მუულესთან ერთად, ქოლერამ იმსხვერპლა ბაქოში. მისი ფოტო არ ჰგავდა მიცვალებულთა ნაღვლიან პორტრეტებს. ფერადი თაიგული ცოცხალს ამსგავსებდა ანას დიდ ბებუას. ანას წარმოედგინა, რომ ივდითი მხიარული ქალი უნდა ყოფილიყო და უსათუოდ უფრო ბედნიერ შეიღებეს დაზრდიდა, ბაქოში მუულესს სავაჭრო გარიგების დასაადგებდ რომ არ გაჰყოლოდა, სადაც ებიდე-მამა იხუთებოდა.

კომოდის სულ ქვედა უჯრა ყველაზე მეტად უყვარდა ანას. ეს ვნახოთ, რა — ეხვეწებოდა ციალა ბაბუდას და ისიც ხშირ-ხშირად ამოიღებდა ხოლმე მწვანე ბამბაზის ნაჭერში გახვეულ მოზრდილ შეკვრას. ლოგინზე გამლიდა და გულმოდგინედ უხსნიდა: არ დაგავიწყდეს, ბაბუდა, აქ მაქვს საკუბოვე ტანსაცმელი. ანა ლოყაზე იხუტებდა ხავერდის რბილ პიჯაკს, ალტაცებული ათვალთვებდა გიპიურის შავი პერანგის ბრჭყვიალა ლილებს. ხუთი ზომით დიდ ლაქის მრგვალწვერიან ფესხაცემელს იზომებდა და ეხვეწებოდა: აუ, ბაბუდა, სკოლაში ჩავიცვამ, რა! არა, შვილო, ჯვარი გნერიაო, ეტყოდა ბაბუდა, ფაქიზად დაკეცილ შავებს საგულდაგულოდ გადაახვევდა მწვანე ბამბაზიაში და ისევ კომოდის ქვედა უჯრაში უკრავდა თავს.

\*\*\*

ერთხელ ანა და ბაბუდა სკოლიდან ბრუნდებოდნენ. თითქმის ეზოში იყვნენ, ბაბუდას რომ გაახსენდა, სუნელი უნდა მეყიდა თევზისთვისო. სკოლის ჩანთა ანას მიანოდა, ცოლად ხანს დამიცადე, ახლავე მოვალო და მალაზიაში გაბრუნდა. სახლის წინ გრძელ სკამზე მეზობლის ქალები ისხდნენ და ლაპარაკობდნენ. ანა თითქმის თავის ფიქრებში იყო, მაგრამ ელისოს სახელს მოჰკრა ყური და გაფაცვიცდა. ამბობდნენ, ეზოში არ უშვებ, არ უშვებ, სახლის ლაგებით რაღას ხდის ბავშვს სულსო. ერთ-ერთმა უპასუხა, რა ქნას იმ სანყალმა ქალმა, იცის, რომ ეგ ვერ გათხოვდება, ძმასთან უნდა იცხოვროს, ასწავლის სახლის საქმეებს, რომ მერე იმით მოსამსახურეავით ჰყავდეთ, გააჩერონ თავიანთთანო.

ანას ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს

შუაზე გადაჭრეს. სამყარო დამცინავი და უღმობელი გახდა. ყველაფერს გამოეცავა სიხარული — მყუდრო სახლს, მოსიყვარულე ოჯახს, ობლადდარჩენილი ბაბუდას და ბაბუას ბავშვობის ეშმაკობებს, შემწვარ თევზს, რამდენიმე წუთში უცხო სუნელითა და ხმელი ქინძით რომ შეკმაზავდა ციალა ბაბუდა და დიდ ლურჯ თევზზე დაუდებდა, თან შეეხვეწებოდა, ახალი ტყემალი მოასხი, ბაბუდა, თუ ჩემი ხათრი გაქვს — მადას გაგიხსნისო.

იდგა, გაძეგილი სკოლის ჩანთა ცალმხარს სტკენდა, მაგრამ ვერაფერს გრძნობდა აქამდე განუცდელი სიძულვილის გარდა. ყველა ატულდა — ავადაა, ავადაა, ავადაა — ვინც ელისოზე ამას ამბობდა. ვინც ეზოში არ უშვებდა. ვინც სახლს ალაგებინებდა და მოსამსახურედ ამზადებდა. ვინც ამას არჩევდა. ვინც თანაუგრძობდა და ვინც განსჯიდა. ვისაც არაფერი ესმოდა. მეზობლები.

\*\*\*

ბაბუდამ რომ სანელებლები იყიდა და ეზოში შემოვიდა, ანა იქ არ დახვდა. იფიქრა, ეტყობა, ზემოთ ავიდა და კართან მელიდებო, მაგრამ არც იქ იყო. ისევ ეზოში ჩავიდა — ბავშვები თამაშობდნენ — იქ იქნებო. არც მათ ჰყავდათ ნანახი. ბაბუდამ მთელი ეზო და მეზობელი ეზოები შემოიარა. გულგახეთქილს, სხვა ბავშვებიც ეხმარებოდნენ. ანა, გამოდი! — ყვიროდნენ — ანა, სად ხარ?!

ანა რამდენიმე საათის მერე გამოვიდა. უფრო ზუსტად, ჩამოვიდა კორპუსის სხვენიდან. სახლში სასწრაფო ჰყავდათ. დამამშვიდებლებით გათიშულ ბაბუდას მკვდარივით ეძინა მისაღები ოთახის დივანზე.

უნდოდათ, მოეკლათ, მაგრამ უბედურებას გადარჩენილი ადამიანებისთვის აზვირთებულმა შვებამ ტალღასავით გადაუარა ოჯახს და დედა, მამა, ბებია, ბაბუა მოცულილებით დაეშვენენ სკამებზე და უსიტყვოდ მიაჩერდნენ ანას. არც მოგვიანებით უჩხუბიათ, მიზეზის გარკვევა სცადეს, მაგრამ რადგან ანა გულის გადაშლის არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდა, მისი ხასიათის ცვლილება დედამ და ბებებმა ცოტა ხნის წინ დანყებულ მენტრუალურ ციკლს დაუკავშირეს და თავი დაანებეს.

\*\*\*

ანა მეზობელ დებს, ეკას და მარის, ხშირად ეთამაშებოდა თავის საყვარელ თამაშს. ვითომ ეკა ბაბუდა იყო და მკვდარი ინვა ჟურნალების მაგიდაზე. მარი მღვდელი იყო და მურმან ლებანიძის ლექსებს ბუტბუტით კითხულობდა როგორც ლოცვას. ანა კი საკუთარ თავს განასახიერებდა და ცდილობდა, დამაჯერებლად ედარდა: რა კარგი იყავი, ჩემო ბაბუდა, რა ტკბილი, რა კეთილი...

თამაშობდა და არ იცოდა, რომ ციალა ბაბუდას დავინყების ეშინოდა. უნდოდა სა-

შინლად მტკივნეულად ეგრძნოთ მისი დანაკლისი. უნდოდა, არავისზე ნაკლები მიცვალებული ყოფილიყო.

ანამ არ იცოდა, რომ დადგებოდა დღე, როცა ყვირილამდე მონატრებოდა ბავშვობის ლოგინში წოლა და ბოგინა ლანდები ფარდაჩამოფარებულ კარს მიღმა — დალაგებული ოთახის მყუდროება და სიმეტრიულად ჩარიგებული კაქტუსები სამზარეულოს ფანჯრის რაფაზე.

ანამ არ იცოდა, რა ხდებოდა მეზობელ კარს მიღმა, მაგრამ ხერხემალს ჩაყოლებული გაყინული წყლის დინებასავით აფრთხლებდა აზრი, რომ რაც მოისმინა, სხეულის ვერსია იყო — მეზობლების ვერსია. დედა რას ფიქრობდა და რას გრძნობდა, არცერთმა მეზობელმა არ იცოდა. არავისთან ჩამომდგარა გულის გადასაშლელად. მაგრამ ის ჩემოდანი, ჩაის ტილოებითა და მაქმანებიანი პერანგებით სავსე, ნაღვლიანად ამხელდა, რა ამბები ტრიალებდა დოლო დეიდას გულში, როცა შვილს ამ ნივთებს უგროვებდა. და როცა, სავარაუდოდ, ეუბნებოდა, რომ ეს მათი საიდუმლო უნდა ყოფილიყო. ანა წლების განმავლობაში ფიქრობდა, ნეტა მართლა სჯერა, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც შვილისთვის ნატრობსო? თუ სახლში გამოეკეტო ელისოს იმედს ჩუქნის ჩემოდანში გადანახული ამ ნივთების სახითო.

ანას ორივე ვერსია უყვარდა...

## მეტიხეცად მნიშვნელოვანი შეხვედრა

— შქსანიშნაპი, ნოდარ, მიხედე, გენაცვალე! შენთან რა ხდება, ნანა? რა გეგმები გაქვს ამ კვირაში?

— მე მწერალთა სახლში ზარს განვახორციელებ, ბატონო გოგი, და გავარკვევ, როდის ჩამოდის აზერბაიჯანელი პოეტი თბილისში.

— მშვენიერი, მშვენიერი. დაკავდი მაგ საქმით. შენთან, ლიზა?

— მე, ბატონო გოგი, პრესრელიზს დავწერ აზერბაიჯანელი პოეტის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, ორი თვის შემდეგ დაგეგმილი ღონისძიებისთვის.

— გადასარევი, მიხედე მაშინ საქმეს. შენ, ნიკა?

— მე, ბატონო გოგი, ბანერს გავაკეთებ, სავარაუდოდ, ორი თვის შემდეგ დაგეგმილი იმ ღონისძიებისთვის, რომელზეც ლიზამ ისაუბრა.

— არაჩვეულებრივია, შევეუბნოთ მაშინ საქმეებს, არც იქით კვირაში მოგვიწევს ცოტა შრომა. დროებით, მეგობრებო, ჩემს კაბინეტში ვიქნები.

საჭმელს რომ გამოიძახებთ, მეც მიმთავალოთ — ერთი ეგლა თქვა, ლეპტოპი აიღო და კართან, უიო, წამოიძახა. კალისტრატე სულმნათის ხსენების დღეს გილოცავთ, სულ გამომივარდა თავიდანო და პირჯვრის წერით მიხურა კარი.

\*\*\*

ლიზამ პრესრელიზი დაწერა და შეინახა, რომ ასე, ორი თვის შემდეგ ტელევიზიებისთვის აზერბაიჯანელი პოეტის თბილისში ჩამოსვლისა და მისი ლექსების კრებულის ქართული თარგმანის პრეზენტაციის შესახებ ეუწყებინა. მერე ჩანთიდან კიტ-კეტი ამოიღო, ჩაახრამუნა და მოსაწევად გავიდა ვერანდაზე.

ნიკაც ეწეოდა, მეთოხმეტე სართულს გადაჰკიდებოდა და თითქოს იკვლევდა ფუთფუთა ქალაქს.

— რას შერებ? — იკითხა ლიზამ უფრო თავისთვის, რადგან დაინახა თუ არა, ამჩატების ნაცნობმა გრძნობამ კისრიდან კოჭებამდე დაუარა და უხერხულობა იგრძნო — თითქოს გამოიჭირეს.

— რავი, ვანძრე. შენ?

— მე პრესრელიზი გამოვაცხვე და გამოვედი მისი კვლევაზე.

სიცილი აუტყუდათ. ნიკას ნაბლისფერი მოგრძო თმა ჰქონდა, რასაც ბატონი გოგი დიდსულოვნად მიანერდა მისი სანახევროდ ხელოვან ბუნებას. ბევრს იცინოდა და ზედიზედ სამ ლერს ეწეოდა.

— გინდა მოგიყვე, როგორ ვწერ? — იკითხა უცებ ლიზამ.

— რას? — კითხვა დაუბრუნა ნიკამ და იმნამსვე გამოსწორება მოუნდა, — მომიყვი, რა.

— აი, ზოგჯერ თვეები შეიძლება, გავიდეს ისე, რომ არცერთი სიტყვის დაწერა არ მომინდეს. მაინცდება კიდევ, რომ წერა შემოიღო და, რომ ეს ზოგჯერ ისე მინდება, მგონია, მოვკვდები, თუ არ დავწერ.

ნიკა უღიმოდა და ამ ღიმილს ლიზა ისე მიენდო, როგორც ბიძამისის ბანჯგვლიან მკლავებს, თერთმეტი წლის ასაკში როინში დახრჩობას რომ გადაარჩინა. არანაირ უხერხულობას არ გრძობდა გულის გადაშლის მოულოდნელი რეციდივის გამო.

— ასეთ თვეებში გადასარევედ ვცხოვრობ, მარტივად და ბედნიერად. არაფერი განსაკუთრებული არ მანუხებს და არ მინდა. მიხარია კარგი ამინდი, გემრიელი საჭმელი, მაღაზიაში სეილები. უამრავ რამეს ვასწრებ. სრულიად პრაგმატულად ვუყურებ ცხოვრებას. ვიცი, რა მინდა, რა როგორ მინდა, მოხდეს, რანაირი მინდა, ვიყო.

ნიკა ეწეოდა. თავს განზე სწევდა, რომ სახეში არ შეეზოლებინა, მაგრამ წამით არ აცილებდა თვალს. უყურებდა დაჟინებით, ოდნავ დაძაბული, თანაგრძნობისთვის მომართული.

— მერე უცებ შემართება უცნაური რაღაც. აი, წარმოიდგინე, რომ ქუჩაში მივდივარ და ლუპით ვხედავ ადამიანებს. და ეს ადამიანები სახეში მეხლებიან თავიანთი გადიდებული ვნებებით, ტანჯვით და შიშით. და ყველაფერი ყირაზე დგება. ადგილს ვერ ვპოულობ, ყველაფერი საშიშად თვალსაჩინოა. ყველა გრძნობა შიშველია.

ნიკამ სიგარეტის ნამწვი საფერფლეში ჩააჭყლიტა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ლიზამ გამოაცხადა: შევიდეთ! და პასუხისთვის აღარ დაუცდია, ისე შებრუნდა ოთახში.

\*\*\*

ლობიანი გამოიძახეს. მერე ლიზამ რაღაც ონლაინ ჟურნალისთვის კაი რეაქსიო-ტყვიანი ტექსტი გამოაცხო სათაურით: „როდის გვიხარია მუშაობა“ — და დედას დაურეკა. დედამ, ბრინჯი და კარაქი წამომიღე, კარგად ვართო.

ოფისში ყველამ იცოდა, რომ ლიზას მამა ავად იყო და ქიმიოთერაპიას იტარებდა. დეტალებს ლიზა არ ჰყვებოდა. ესეც იმიტომ იცოდნენ, რომ ზოგჯერ სამსახურში ლამის შუადღეზე მიდიოდა ხოლმე და ბატონი გოგი ამბობდა, რომ მიზეზი საპატიო იყო.

ლიზამ ვორდის ფაილი გახსნა. სახელწოდება: „რომანი“ — ახლა უფრო პრეტენზიული მოიხერხა, ვიდრე ოდესმე. თვალის გადავლო ნანყვეტ-ნანყვეტ წინადადებებს, აბზაცებს. ყოველთვის იცოდა, რომ ამ ტექსტამდე მივიდოდა, მაგრამ ვერ ხედავდა — როგორ. თუმცა ხელის ფათურით ინიშნავდა საგნებს, რომლებიც უნდა დაემახსოვრებინა, რომ მერე ეწერა.

უნდა დაემახსოვრებინა და მერე დაენერა შეტყუებულ ფეხებზე, ბეჯითად რომ აწევდა ხოლმე ტელევიზორის წინ მჯდომი მამა, როცა ლიზა ოთახს გვიდა და მასაც მიადგებოდა. უნდა დაენერა კაცზე, რომელიც ყოველდღე დნებოდა და რომელიც ისე უყვარდა, მასზე მიხუტებული ლამის ვნებას გრძობდა. უნდა ეწერა და ეწერა ცხოვრების მთავარ ადამიანზე, რომელმაც პლანი გაასინჯა და ხელოვნების სახელით ჩაყვებდა გაუპრავა და რომელმაც ბოლო ქიმიოთერაპიის მერე, გადასიკვდილებულმა, ყურში უჩურჩულა: რაც იყო, მაგარი იყო.

ასე გულგახსნილი რომ ხარ და თან სხეულით სიმსივნეს მიათრევ, რა აბსურდია, რა უსამართლობაა, რა ცუდია.

ამას უკვე ნიკას სწერდა მესენჯერში. ლამაზ ნიკას. ლიზას უნდოდა ვინმესთვის გაეყო შიში, თუმცა თვითონვე ვერ ხვდებოდა, რაღა მაინცდამაინც ნიკა მოინიშნა თავისიანად. ბიჭი, რომელიც ბატონი გოგის ოფისში ბანერებს აწყობდა ფოტოშოპში და თავის ნიღ ამერიკულ ფულს ათეთრებდა, სახლში კი ხატავდა და ინსტაგრამზე ზღვისპირა ქალაქების პეიზაჟებს დებდა.

ლიზა ვერ ხვდებოდა, სახლში მისვლის უფრო ეშინოდა თუ იმის, რაც ელოდა და რაც შეიძლება უკვე კარს უკან იდგა.

თუ ერთი და იგივე იყო.

ბატონი გოგი დასამშვიდობებლად შემოვიდა. თეთრი პერანგი ეცვა. ლეპტოპის ყავისფერი ჩანთა ეჭირა. ლიზას, ჩვეულებრივ, მოლოდინი გაუჩნდა, რომ ხალხის

დანახვისას სკამზე შეხტებოდა ლექსის წასაკითხად. მაგრამ ლიზას სულ არ სძულდა შეხტყილი ბატონი გოგი. ასე ირონიულად ფიქრიც მის მიმართ სიძულვილზე კი არა, იმ მძლერის მიმართ გულისრევაზე მიანიშნებდა, ცხოვრება რომ ათუხთუხებდა და ცხელ-ცხელს ჩამოატარებდა ლითონის წკრიალა ჩამჩით.

ლიზა ყოველთვის ბევრს ფიქრობდა სიკვდილზე, მაგრამ ბოლო თვეებში დიალოგი გაუმართა ღმერთს და კითხვებით დასდევდა, სადაც მოიხელთებდა:

— გამარჯობა, ღმერთო, შემთხვევით ხომ არ გადაიფიქრე?

— რამე ხომ არ შეცვლილა შენს გულქვა კანონებში?!

— შეჩერდი, ღმერთო, სალაპარაკო მაქვს შენთან!

მერე დიპლომატია არჩია:

— მოდი, შევთანხმდეთ, ღმერთო, მე გაუთავებლად ვივლი ეკლესიაში და მოვყვები, როგორ მოახდინა ამან სასწაული. თუ გინდა, მონაზონი გავხდები, ღმერთო. თუ გინდა, მე წამაცუნცულე შენთან.

და მერე, ღმერთს დროს რომ მისცემდა პასუხის მოსაფიქრებლად, თვითონაც შეფუცხუნდებოდა ხოლმე იმაზე ფიქრით, ვაიდა, მართლა გამოცხადებოდა სიკვდილი მოულოდნელად — ტყვეების გაცვლა დამევალო.

ამ დროს ლიზას ხელისგულები ენამებოდა და ყურები წივილს უწყებდა. აფორიაქდებოდა ხოლმე, ყვითელი ბლოკნოტი არ ამოეჩიქნა ჩანთიდან ვინმეს. შავი საქმეებით სავსე. ჩანაწერებით და გადახაზული პუნქტებით. უჯრაში ჩაჩურთული გასარეცხი ტრუსიკებისთვის არ მიეგნოთ.

ვიღაც ისეთი უნდოდა მოენიშნა სიახლოვეს, ვისაც გაგიჟებამდე ეყვარებოდა და მოუნდებოდა რამე ისეთი გაეკეთებინა, ყველასთვის დაემახსოვრებინა საკუთარი თავი. წიგნი მიეძღვნა, ან სიმღერა, ან მისი პორტრეტი დაეხატა და ეს პორტრეტი ისე ჰგვანებოდა ნამდვილ ლიზას, როგორც ცოცხალი. ვითომ ფოტოა და კამერამ დააზუსტა.

\*\*\*

ერთხელ ნიკამ ოფისში მოჰყვა, რომ მიდამისმა გურიის გაუკაცრიელებულ სოფელში შვილოშვილები დასასვენებლად წაიყვანა და ბავშვებს სოფელი რომ ეგრძნოთ, მამალიც თვითონ ჩაიყვანა. ზუსტად მაშინ მოეჩვენა ლიზას, რომ ისეთივე ხელის ფათურით, როგორც პატივცემულ მუზეუმში გზის გაკვლევისას, მიაგნო თავისიანს, რომლისთვისაც ნდობის გამოცხადება შეიძლებოდა მხოლოდ იმიტომაც კი, რომ მას ამ საყვარელი ამბის მოყოლა მოუნდა. და კიდევ იმიტომ, რომ მას ასეთი შესანიშნავი მამიდა ჰყავდა.


ლიზასაც მოუნდა მოეყოლა, რომ ხუთი წლისამ ბაბუას კაბინეტი დაუღაგა და იმან ლექსი დაუნერა; რომ დიდხანს უყვარდა ცირკი და მერე შეიძულა.

მოუყვა კიდევ იმ თვეების განმავლობაში, ბატონი გოგის დათრეული პროექტის თანხა ნება-ნება რომ იხარჯებოდა და ლიზა იმ ფულის ნაწილს ამაღლის სანაპიროზე სამოგზაუროდ აგროვებდა, სადაც ბლომად იშოვება მუზეები და სვამ ლიმონჩილოს, რომელიც გავიწყებს, როგორ საშინლად დროებითია ეს ყველაფერი.

— სახლში ნამიყვან? — მისწერა ნიკას. გადაწყვეტილი იყო, იკოცნავენდა და სისხლის ჩუხჩუხი მოაგონებდა ხითხითს, რომელიც მხოლოდ სიხარულით გვემუქრება, სანამ ტკივილისგან დაჩეხილები შევხორცდებით და კანს გავიმერქნებთ. სანამ ბოლოსდაბოლოს შეგვიყვარდება ტკივილი და ისიც საპასუხო შეღავათებს დაგვიწესებს.

ნიკამ მანქანის გასაღები აიღო მაგიდიდან. ლიზამ კომპიუტერი გამოართო. პრესრელიზი მზად იყო. ამ თვეში სხვა არც არაფერი ევალებოდა. მომდევნო თვეში პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების პრესსამსახურების ხელმძღვანელებთან ჰქონდა დასაგეგმი მეთისმეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა.

დერეფანში რომ მიაბიჯებდნენ, ლიზას მოეჩვენა, შორიდან გაჰყურებდა ლურჯკაბიან სილუეტსაც და საკუთარ ცხოვრებასაც. ნაბიჯების ხმაც სულ უფრო ყრუ ხდებოდა. ძაღლების ყეფასავით, სკვერში ჩიტების ჟიჟივით — რომ შორდები და საერთო ხმაურში ნელ-ნელა იკარგება.



# თბილისიდან ზაქისამდე და უკან

თმრამიტი წლის ვარ. ჯანს არ ვუჩივი. მგონი, არც გონებასა და შესახედაობას. თბილისში ვცხოვრობ, რაღაცნაირი პრეტენზიები მაქვს მაღალ მატერიებზე. კედელს რომ დავეჯახო, უეჭველი დავანგრევე. ერთი სიტყვით, ბაყბაყდები ვარ! მყავს სამეგობრო წრე, სადაც, ჩემი გაგებით, მაჩანჩალა არ ვარ, არც უბანში მიმჩნია თავი დანაგრულად. მთლად ვარსკვლავებს არ ვეთამაშები, თუმცა „ჩემს ჭიას ვახარებ“. გოგონებსაც ვეპრანჭები (მძღობის დაგვარად). 90-იანი წლებია და „რიგითი მოკვდავებისგან“ განსხვავებით, ერთი პატარა უპირატესობა მაქვს — მშობლებმა მანქანა „ნივა“ მაჩუქეს. „ნივა, ყველგან მივა. თუ გარედა, ჩემს ყ... მივა“ — ასეთი „ანდაზაც“ გამიგია. თეთრი გადმოზრუნეულ-დისკეიანი „ტაჩალარი“ — ასე ვეძახი ჩემს მერანს. მართალია, ხშირად სანავი მიჭირს, ხან ბიძაშვილები მისხამენ, ხან ძმაცაცები, მაგრამ ჩემი „ტოჩი“ (შემოკლებით ტაჩალარისგან), ფაქტობრივად, არ ჩერდება. დილის ათისთვის რომ დაექოქავ, გვიან ღამემდე დავაგრილებ. „ნივას“ ცოტა მძიმე საჭე აქვს, ამიტომ კუნთები გავარჯიშებული მაქვს. არსად ვმუშაობ, სწავლითაც არ ვიკლავ თავს, მაგრამ რატომღაც მაინც ბევრი „საქმე“ მაქვს. ბინაში ბებია-ბაბუასთან ერთად ვცხოვრობ.

ყოველ დღე, სახლში მისვლისას, ბები-არემს ვეკითხები: რა გვაქვს საჭმელი, ყენიჩკა? პასუხი: „შენ თავი რესტორანში ხომ არ გგონია? ჭამე, რაც არის!“ ხომ ვიცი, რასაც მიპასუხებს, მაგრამ ჩემებურად ვანვალუბ და ჯიბურზე სულ ამას ვეკითხები. თურმე დაახლოებით წლინახევრის ვიყავი, ბებიარემი საქმეზე ნასულა და ბაბუსთან მარტო დავუტოვებოვარ. ახალი წელია და, რა თქმა უნდა, შუშის სათამაშოებით განყობილი ნაძვის ხე დგას. რაღაც მომენტში ბაბუ გავიდა ოთახიდან და დაბრუნებული რას ხედავს — სათამაშოს ნახევარი ხელში მიჭირავს და პირი წვრილი შუშით მაქვს სავსე. ვაიბე, წარმოიდგენია, ნერვიულობისგან როგორ დასცხა. შეშინებულმა ხელში ამიტაცა და მეკითხება:

— ბაბუ, ჭამე ეს სათამაშო?

— კიი, — ვუქნევ თურმე თავს.

— ვაი ჩემო დღეო, ეს რა დაგვემართა. სასწრაფოდ ჩამსვა მანქანაში და გამაქანა საავადმყოფოში.

ბედად გამოცდილი და ჭკვიანი ექიმი შეგხვდა თურმე. ვიზუალური დათვალიერების შემდეგ გამოიკითხა ყველაფერი. თურმე საქმიანად დამსვა სკამზე და მეკითხება:

— შეჭამე, ბაია, ეს სათამაშო? — თან ნამსხვრევებს მაჩვენებს.

— კიი, — ვუქნევ თავს.  
— გტკივა მუცელი?  
— კიი, — ვპასუხობ.  
ბაბუ კინალამ მოსაბრუნებელი გახდა. დიალოგი გრძელდება.  
— არ გიჭამია ხომ ეს სათამაშო?  
— არაა.  
— არ გტკივა ხომ მუცელი?  
— არაა, — ვპასუხობ.

მიუბრუნდა ექიმი ბაბუს და დაანყნარა, არაფერი ჭირს ამ ბავშვსო. კუჭიც არ ამოურეცხია.

სახლში მისულეხს ბებიამ სერიოზული რეპრესიები მოუწყო ბაბუას და მერეც მთელი ცხოვრება მაგას წამოაძახებდა, შენთვის ბავშვის ნდობა ორი წუთითაც არ შეიძლებაო.

შაბათ-კვირას ბებია და ბაბუა მამიდაჩემთან მიდიან ზაქისში. ესე იგი, ბინაში მარტო ვრჩები და შემოიღია, მოვანყო „წვეულეა“. ჩემმა სამეგობრომ ეს კარგად იცის და ამ დროს იგეგმება საინტერესო ღონისძიებები. ამჯერად ბებო სოფელშია დიდი ხნით. რამდენიმე დღის წინ სერიოზული „გოგოშკები“ გავიცანით და შაბათს წვეულეა დავნიშნეთ. როგორც კი ბაბუ სახლიდან გავიდა, ჩემი ძველებურ-დისკიანი (მობილურები და ინტერნეტი იდეაშიც არ არის ჯერ ცნობილი) ტელეფონი ავკრიფე, ძმაკაცს დავურეკე, რომ უკვე მარტო ვარ. ოც წუთში მტროს სადგურთან შეხვედრაზე ვუთანხმდები. დათქმულ დროს ვისვამ ამ ერთ ძმაკაცს მანქანაში. მალე მეორეც გვიერთდება და უკვე ტაქსაფონიდან ვურეკავთ „გოგოშკებს“, რომლებიც სტარტზე არიან. ისინი უკვე „გავინანილეთ“, ანუ დავწყვილდით. ოთახებიც შევათანხმეთ, ვინ სად მოთავსდება, არადა, დაიკრებიან თუ არა, ჯერ არც ვიცი. თავს ვირწმუნებთ, რომ ნებისმიერ გოგოს „შევაბამთ“, რადგან ისეთი ხიბლი გვაქვს, თავს ვერავინ შეიკავებს ცდუნებისგან. უკვე საკბილოებიც ჩავტენეთ „ტოჩიში“, „ბუტკნარში“ შევიართეთ (აბა, მარკეტები ჯერ არ გახსნილა თბილისში), ფული მანამდე შევაკონინეთ, გამოზომილად ვიყიდეთ სასმელი და ტკბილეული. ისეთი ტორტი და ნამცხვრები ავარჩიეთ, ჩვეულებრივ სიტუაციაში საერთოდ რომ არ გავსინჯავდი, მაგრამ ნათქვამია — საბანი სადამდეც გავწვდებო, ფეხიც ისე გამალო. სხვა რა გზაა?! ბიუჯეტში ხუთი ლიტრი სანავიცი გათვლილია, ამის მეტი, ხურდაც კი არ გვაქვს. გზაში უხერხული სიჩუმე რომ არ ჩამოვარდეს, რიგრიგობით ვიგონებთ, ხან ანეკდოტს, ხან რამე ამბავს.



ნინო მშვიდობაძე

მოდის ვითარებით

თქვენ გიძღვრით, დიდებს

აქედან დავიწყეთ:

„ენკი ბენკი სიკლისა, ენკი ბენკი და“...

ან კიდევ:

„აინები, მაინები, ჭიქები, საინები, ნარმა, მიტკალი, რა გინდა, მითხარი“...

და ესეც:

„ჰოპა, ჰოპა, ჰოპა, ამერიკა, ევროპა, ანგლია, კიტაი, შტო ტი ხოჩემ, ვიბირაი“...

და ირჩევ:

ნარმის ნაცვლად

მიტკალს,

ინგლისს ამჯობინებ ჩინეთს

და მიტკალს ფერი კაბით

გადადიხარ

ჭრელი მარაოებისა და

მამაცი სამურაების სამყაროში,

სადაც ცხოვრება იეროგლიფებს ჰგავს...

შენ ირჩევ...

და ესაა მთავარი,

რადგან საზღვარი უკვე ნაშაღე

და ხარ იქ, სადაც გინდა, რომ იყო

და გაცვია მიტკალს ფერი კაბა...

ეს იყო...

ეს უკვე აღარ იქნება, რადგან

შენ გქვია დიდი

და დიდები ვერასოდეს აკეთებენ არჩევანს ისე,

რომ იყვნენ იქ, სადაც სურთ, რომ იყვნენ

და იყვნენ ისე, როგორც სურთ, რომ იყვნენ...

მე ახლა

მაცვია ჭრელი კაბა — ნარმის და

ვარ აზია-ევროპის გზაგასაყარზე...

არადა, მინდა, გავითვალლო ისევე:

„რა გინდა, მითხარი“

ან:

„შტო ტი ხოჩემ, ვიბირაი“

და უჩვეულო მონატრებით ის დრო მოვინატრო,

როცა ყველაფერს მარტივად აკეთებ:

მიდიხარ უცნობთან და უწვდი მარჯვენას...

მიდიხარ უცნობთან და ეფერები...

სთავაზობ სათამაშოს,

შენს წილ ხაჭაპურს,

მოკბეჩილ ვაშლსაც და

მერე თამაშობ მასთან ერთად დაღამებამდე

და თქვენ უკვე მეგობრები ხართ,

ძალიან ახლო მეგობრები,

რომლებიც ხვალაც ერთმანეთის ნახვის იმედით

მიჰყვებიან დედებს სახლისკენ...

ეს მაშინ იყო...

და ახლა, როცა

ასე რთულია, მიხვიდე და გაუწოდო მარჯვენა უცნობს,

ან მიესალმო,

გაუღიმო,

ან...

რის სათამაშოს შეთავაზება,

ან ხაჭაპურის,

მოკბეჩილ ვაშლსაც ჩაუძახებ ნაგვის ურნაში...

ეს მაშინ იყო...

ახლა დგახარ და

თავს იმართლებ არაფრისმთქმელი სიტყვებით მუდამ:

რომ სირცხვილია,

არ შეიძლება,

უკადრისია...

და ველარ ხედები, რომ აღარა აქვს ფასი ამ სიტყვებს,

რადგან საკუთარ სულს დაუდებ საზღვარი ამით,

რადგან დაკარგე მისასვლელი სხვებისკენ გზები...

და აღარ გინდა, გერქვას დიდი...

ხელის აქნევით იშორებ წლებსაც,

თითქოს კალთიდან მტვრის უამრავი ნაწილაკი

ჩამოიფერთხე

და ისე ამბობ,

ეს-ესაა ვითომ დაინყე:

მე ავირჩიე მიტკალს კაბა

და ჭრელი მარაოების ქვეყანა ვამჯობინე

ნისლების მხარეს,

ნავშალე ყველა საზღვარი დროში,

ყველა ჩვენს შორის არსებული სიტყვების წყებაც,

როგორცაა:

არ შეიძლება,

სირცხვილია,

უკადრისია

და გინილადე ჩემი წილი ხაჭაპურიც

და მოკბეჩილი ვაშლიც — გულლიად

და გეუბნები,

შენ, რომელიც მერე რა, რომ უკვე დიდი ხარ:

მოდის, ვითამაშოთ...

და მე გავითვლი

და ავირჩევ:

მიტკალს და ჩინეთს

და გადაგიყვან ჭრელი მარაოებისა და

მამაცი სამურაების სამყაროში,

სადაც ცხოვრება იეროგლიფებს ჰგავს...

მოდის, ვითამაშოთ...

ჩემი საზნოძო

ვაგროვებ ფიქრებს

და ფურცლებზე გადმომაქვს მერე,

ხელნაკეთი ყელსაბამივით...

სიტყვებთან თამაში მოვიგონე,

რომ მარტოდმარტო არ მეგრძნო თავი...

ვაგროვებ სიტყვებს...

მარგალიტებივით რომ გამებნენ მინდორში

და თუ დროზე არ ავკინძე, არ ვიპოვე,

სამუდამოდ დამეკარგებიან მწვანე ბალახებსა და

მინდვრის ყვავილებში...

ვაგროვებ სიზმრებს...

უფრო ხშირად, ვაგროვებ ნატვრებს...

შიგადაშიგ ვურევ ოცნებებს

და ამ კოქტილს თავლის გემო აქვს —

იმდენად ტკბილი, რომ ოდნავ მწარეა...

ვაგროვებ...

რომ მერე...

იქითურ სამყაროში

მზითევად წავიღო ჩემი შეგრძნებები...

ძალიან მდიდრული მზითევი მაქვს...

პროცესია

ვუძღვნი მშობლებს

კითხვები თავს იკლავენ, როცა

პასუხები არ გვაქვს...

შენ ზიხარ და გრავიტაციის რაობაზე ფიქრობ...

შენ ზიხარ და გგონია, რომ

გიყვარს დედამინა...

დედები კი შვილებს ჰყვებიან...

მკვდარი ხარ შენ...

იმ მკვდრებივით ხარ,

აქეთურებს რომ მიგველიან,

მათ საფლავებზე ფეხი რომ დავადგათ,

ქვებზე მიყინულ მათ სახეებს

მტკერი რომ გადავმინდოთ...

არადა აქ...

შვილები ხან ფოთლებად იქცევიან,

ხან ფანჯრებიდან გადმოიფრენენ და

მიდიან...

უარაფრო თვალებით მიდიან,

უარაფრო ანწყობი და მომავლით და

გვიტოვებენ კითხვებს,

რომლებიც თავს იკლავენ, რადგან პასუხები არ გვაქვს.

არავინა ხარ შენ,

რადგან მამებიც ჰყვებიან შვილებს...

მამაშენს კი შენთვის არცკი უყვირია...

ყველა სამარე პირლია...

სმენა დახშულია და

სიტყვები ყინვის ეკლებად ქცეულან...

რალა უნდა თქვა...

ზიხარ და არცთუ დახვეწილი პროფილით,

გრანელის პოეზიას აგემოვნებ...

ქუჩაში პროცესიამ ჩაიარა:

მშობლები შვილებს მისავენებენ...

ქუჩაში პროცესიამ ჩაიარა...

გაყიდული შვილების პროცესიამ...

შენ კი ზიხარ და...

მერე ისინიც დაგველოდებიან —

ჩვენ ჩვენი შვილები,

ფანჯრებიდან გადმოიფრენილები,

ხეებს ფოთლებად გამობმულნი,

შვილები,

იქით რომ უნდა ევლოთ ჩვენს საფლავებზე...

დაგველოდებიან —

და სამედურავიანი მზერით

პასუხებს მოგვთხოვენ კითხვებზე,

რომლებიც უპასუხოდ

მათსავით თვითმკვლელები გახდებიან...

მემოზარი

იცო, მეგობარო,

ბაგებზე სისხლად შემხმარი სიტყვებია:

მე შენ მიყვარხარ.

ცხრა ჯალათი ცხრა შანთით მკერდს ჯიჯგნის

შავი ნიღბიდან მომზირალი ავი თვალებით...

როგორ დაძვირდა მეგობრობა,

დაძვირდა სიტყვაც,

მართალი და შენ რომ გჩვევია...

აქ ჰაერიც კი ძვირია,

ხოლო

სიმართლე თევზის ფხასავით გადგება გულზე,

თუ ყელში,

თუ სასულეში

და ლამისაა დაიხრჩო...

იცო, მეგობარო,

თვალები აღარაა სულის სარკე,

ინიღბებიან ადამიანები ისე იოლად,

ისე მარტივად,

შენ თვითონ გეშინია მერე

ან უფრო გრცხვინია,

რადგან მიუხვდი:

რომ მათი თვალები აღარაა სულის სარკე,

რადგან მათ ეს სარკეები დიდი ხნის წინ დაამსხვრიეს

და ახლა უბრალოდ, თვალები აქვთ,

იმზირებიან, მაგრამ ამოდ,

იმზირებიან,

მაგრამ ვერ ირეკლავენ...

ცას შეჭიდებულ ხელებზე სისხლად გვდის პოეზია,

მეგობარო,

და ხელებს ზემოთ რომ ვწვეთ ხოლმე,

დედამინას ყოჩივარდება ეწვეთება ჩვენი ლექსები

და ველარ გავთელავთ ყოჩივარდებას,

ველარც დავკრეფთ,

რადგან ჩვენ მხოლოდ

საკუთარი თავის მკვლელები ვართ

და არა ყვავილების ან ლექსების...

დაძვირდა ჰაერი,

და ბაგებებს სისხლად შეახმა სიტყვები:

მე შენ მიყვარხარ...

გაძვირებულ ყოფიერებაში ჭირს გაძლება

და მაინც უნდა გავუძლოთ, რადგან

მერე ვინლა მოიყვანს ყოჩივარდებას...

ჩვენი თვალები ირეკლავენ სამყაროს,

მეგობრებს,

ადამიანებს...

ჩვენი ხელებიდან ყოჩივარდები მოჟონავს,

ჩვენ ვერასოდეს ვუჩვენებთ ერთმანეთს ზურგს,

ჩვენ...

გადავრჩებით!!!

ავტოპორტრეტი

ქარბორბალა და ფორიაქა გოგოდან

სულბორიალა ქალამდე მანძილი დიდი კი არაა,

იმ ბილიკის ოდენია,

სახლიდან ჭიშკრამდე რომ გავივლი...

და მაინც, რატომ მეჩვენება,

რომ საუკუნეა, ვცხოვრობ...

ქალები წლებს არ ითვლიანო. მეც რატომ დავთვალო?

ცოტა უღიმღამოდ მოვიდა აპრილი,

მაგრამ ხომ მოვიდა...

და ისევ ის ბორიალა,

ფორიაქა და სულფორიალა გოგო შერჩა ხელში,

როგორც მუდამ ახსოვდა...

მე აპრილების მისტორიე ვარ...

ერთი კადრი განსაკუთრებულად შემორჩა მესხიერებას:

რუსულ ტანკზე გადატეხილი ჯოხი

— მრისხანების

ყველაზე გულისმომწურველი გამოვლინება —

ჩემი თაობის დალი, ტკივილი და თუ გნებავთ, სტივმაც...

გახსენებამდე კი...

გახსენებამდე იმ სიყვარულს დავიტირებ,

რომ არ დამცალდა;

დაუბადებელ შვილებს დავიტირებ;

დავიტირებ ჩემს ძალიან გულუბრყვილო ხასიათსაც...

დედაჩემის ტკივილებსაც დავიტირებ,

რადგან მათი უმეტესობა

ჩემი ბრალია.

და როცა ცრემლი დამიშრება და

სხეულიც დაასრულებს ფორიაქს,



თავიდან ვისწავლი სიცილს,  
სიყვარულსაც და სიხარულს.  
როცა ჩამოვიწურავ ტკივილებს,  
ჩავიცვამ ყველაზე ფრიალა კაბას და  
ილიასა და ელენეს დამალობანას ვეთამაშები.  
ჩემს ასაკისთვის შეუფერებლად წვრილ კანჭებს  
მზეს მივაფიცებ და  
დაუდევრად გაშლილ თმაზე  
მზის სხივების წნულს დავიდგამ, რადგან  
მზისა ვარ.  
მე ხომ ძარღვებში სისხლის მაგივრად მზე მდის...  
ღურჯი აპრილის მეცხრე დღე რომ გათენდება,  
„ლილეო“ მიმღერეთ...

**მარტოობისა**

კარი არ მიუკეტოთ მარტოობას...  
კარს ნუ მიუკეტავთ მარტოობას,  
შიგნით შემოუშვით.  
გაყურსულა სევდა ზღურბლზე და ზის ხელგანწვილი,  
მონყალებს ითხოვს და გულგრილად ნუ ჩაუვლით...  
ჩემი ტერფებია — გვირილები,  
ჩემი თითებია — გვირილები,  
ნურასოდეს გამიმეტებთ კითხვისთვის:  
ვუყვარვარ?  
არ ვუყვარვარ?  
ნუ მატკენთ ფურცლებს...  
ქარს ცოლად გავყვებოდი და ნიავს გაუჩინდი,  
ბევრ ნიავს,  
ნიავებს...  
და გვეყოლებოდა:  
ჯუანშერი,  
თაია,  
გაბრიელი,  
ექვთიმე,  
თუნთა,  
კატაი ნიავები...  
და მოვქსოვდი წინდებს და  
წავიკითხავდი წიგნებს ხმამალა...  
ქარს რომ ცოლად წავყოლოდი,  
ნიავებს გავაჩენდი,  
მაგრამ ვიყავი იმ კაცის ცოლი,  
შვილად ტკივილები რომ გამაჩენინა...  
ბევრი ტკივილი,  
და ერთი — ყველაზე მძიმე:  
თოკზე დაკიდული სიყვარული...  
(მიზეზზე ვერ ვფიქრობ,  
ძალა არ მაქვს)...  
მე გვირილა ვარ და  
არასოდეს მკითხოთ:  
ვუყვარვარ?  
არ ვუყვარვარ?  
მეტკინება...  
ერთხელაც იქნება,  
ავდგები და მაინც გავყვები ქარს...  
კარი არ მიუკეტოთ მარტოობას,  
კარს ნუ მიუკეტავთ მარტოობას,  
შიგნით შემოუშვით...

**საათები**

დრო საათის ციფერბლატზე  
გამომწყვდელი მოძრაობაა,  
განსაზღვრული მიმართულებით  
და ამიტომაც,  
არცკი არსებობს...  
და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ასაკს,  
რომელსაც მხოლოდ კალენდრით იგებ...  
შეხვედრების თარიღიც სისულელეა...  
მთავარია, რომ შეხვდით...  
რომ ვართ...  
რომ ვცოცხლობთ...  
საათები?  
ქვენტინივით დავამსხვრევ ერთხელაც ყველა საათს,  
რადგან  
„დრო მკვდარია საათის ციფერბლატზე“...  
ყველა ტკივილი იწყება მხოლოდ  
და არ სრულდება,  
სიყვარულივით ტკივილებიც უსასრულოა...  
თურმე სიკვდილიც ვერ ასრულებს დროს...  
ასაკი?  
არ ვიცი, რამდენი წლისა ვარ,  
არ ვიცი,  
რადგან მზესთან ერთად ვიბადები...  
ჩემი გარდაცვალებაც დაბადებასავით იქნება:  
ოღონდ გავიცინებ,  
რადგან მე ხომ ვიცი, რომ  
სიკვდილი  
იმთავითვე განწირულია დამარცხებისთვის.  
კალენდარი კი არა,  
შეხვედრებს გული იმასხოვრებს მხოლოდ...  
უკანასკნელი შეხვედრის წამი —  
მოვა სიკვდილი და გავუღიმებ...  
მეცოდებიან დამარცხებისთვის განწირულები...  
დაამსხვრიეთ საათები,  
ნუ გამომწყვდევთ დროს!!!



**ზოია ცხადაია**

**ფრთხილად...**

ვცხოვრობთ კუნძულზე,  
ვეფერებით მზეს და გაზაფხულს...  
დავთესეთ ყანა.  
შემოდგომა გვექნება უხვი.  
თუ რამ კვიმატი შეგვერია,  
მოვითმენთ ცოტას,  
ნოემბრის ქარში  
ყვითელ ფოთლებს გავატანთ ნუხილს.  
  
გრძელი ზამთრისთვის ვემზადებით  
წესით და რიგით:  
საესეა სხვენი კვნიტი შაქრით,  
სიყვარულით და ზღაპრის გუდით...  
გაუტანიათ მზეჭაბუკებს წარსულის ლოდი,  
არ ვცხოვრობთ ცუდად...  
შრიალებს კაბის აბრეშუმში,  
ვართ ტკბილად...  
.....  
ფრთხილად!..  
სიზმარი არ იყოს და  
არ გამეღვიძოს...

\*\*\*  
„გაჩნდებით ერთხელ, ეს ქვეყანა გვეუცხოება  
და ხელმოვრედ სიყვარულში დავიბადებით“.  
ლადო ასათიანი

ყველა მყოფობიდან დღემდე  
ვეძებდით და ვკარგავდით ერთმანეთს...  
შეხვედრის ადგილი —  
მუდამ ერთი და იგივე:  
შენი შავი მარმარილო —  
განზორების და დავინყების  
ცინიკური ლოდი...  
და თუ ოდესმე...  
რომელიღაც ახალ მყოფობაში  
შეიცვლება ბედისწერის ვექტორი...  
და თუ ოდესმე ერთად აღმოვჩნდებით  
(თუნდაც ამაზე უსამართლო სამყაროში)  
და ერთხელ მაინც გაიხსნება ცა  
— ბედნიერი შეხვედრისათვის...  
მზად ვარ, მილიარდი წელი ველოდო სასწაულს,  
ვიდრე გავვიმეორებს ზენაარი —  
გარდაუვალი პაემანისთვის...  
მამინ ჩემს მარმარილოს ამოხეთქავს  
ნეტარი სიტყვები (როგორიც თქვა სერაფიტამ):  
ზევას! ჩემო სიცოცხლეო...

**თოვს, ქალბატონო...**

შემორჩა მხოლოდ ეკრანს და ქალაქს  
თქვენი მშვენიერ ფანტასტიკური.  
ვერ დააბრუნებს, რაც იყო იმას —  
ვერც მისტიკური,  
ვერც პლასტიკური.

თქვენ ბედნიერიც იყავით ერთ დროს  
და ტანჯვაც ბევრი გაიზიარეთ...  
უარყოფილი, შურნაძიები  
ეპოდიშებით იმ ძველ იარებს.

გაქარდნენ უკვე გაზაფხულები  
და დრონი — თვალთა ელვარებისა...  
თოვს, ქალბატონო! ძალაში შედის  
„ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“...

\*\*\*  
ჩემი სრა-სახლი უსახური თიხა, ალიზი...  
ბანზე ყვაოდა უსურვაზი — მორჩი, ხვიარა.  
თავს ვიტყუებდი ისე კარგად, ისე ლამაზად,  
რომ უსაღებოდ ვიშუშებდი გულზე იარებს.  
უბეს ვივსებდი სიყვარულით და ვარდის ფურცლით,  
ვსწავლობდი საგანს — გამძლეობის და ერთგულების,  
ვეტროფი ნათელს და ოცნებაც მიყვარდა, თუმცა  
არ მასვენებდნენ ეკლიანი ფეხის გულები.  
გვიანდა მივხვდი, რომ ამაო იყო ყოველი,  
გამოვეთხოვე ამაღლებულ აჯიტიტოებს.  
გაოგნებული, წუთისოფლის ცოდვით და მადლით,  
ხრამზე გამტოვეს...  
იქნებ, როგორმე არ დავეშვა, არ ჩავიძირო,  
ხავსიც არ არის, ჩავეჭიდო, არ მომწყდეს კინნი,  
ცერით ციცაბოს ვერ გავცდები უფსკრულის ნაპირს,  
ისე შორია, არც კი მოჩანს ნაგლეჯი მინის.  
მზე, დედა — ჩემი, მთვარე — მამა, ვერას მშველიან,  
ჩამომანთებენ ვარსკვლავები სიმწრის ცხელებას,  
ჩემი ხელები უკვე გულზე დასაკრეფია,  
უამხელებოდ ჩემს მონაგარს რა ეშველება?  
კიდევ გავთავადი... და სიკვდილი შლეგი, თავხედი,  
ფეხებთან მინევს, მოკუნტული, ერთგულ ძალღივით,  
თავით მივდევდი ამ ცივ ქვაზე, ზეცას ავხედე  
და მთვარის პროფილს შევავედრე სული დაღლილი.

\*\*\*  
**მინანერი სურათისთვის —**  
„ზამთარი ჩემი ფანჯრიდან“.  
მხატვარ დათო სამხარაძის ხსოვნას

შენ ახლა ცათა საუფლოს შენობ,  
მართალთა შორის „მშვენიერ შენობ“...  
აქ შენი სახლი — (ყრუ და ორპირი  
ქარის წრიალი... უსაესავო...  
ლამე დახშული და უთენარი...) —  
იტოვებს იმედს, რომ შენს სულს, ცდომილს,  
უფალი კეთილ ნებით განსჯიდა...  
და გულის ცეცხლში ინახავს დედა  
ზამთარს, დანახულს, შენსას — ფანჯრიდან...

**შენს შეშავს**

მიიღევა უკანასკნელი აგვისტოს ხვატიც.  
ოქროს ქვიშას დაგაყრის შემოდგომის ქარი...  
გაბრწყინდება პირველი ყინვის კრისტალები  
დედა-მინაზე...  
მინაზე...  
მარადისობის შემზარავ სიჩუმეს  
ვერ გაარღვევენ შენი შუალამის სერენადები  
და ვერც ცეცხლი გეენის...  
ლამის ნკვარამში ჩაინთქმება  
ფრუანტელი შენი ამო-ბგერების...  
ნეტარ არიან უკვდავების მორწმუნენი.

**გამოტოვებული გაზაფხული**

რა პატარა ყოფილა მოსაფერებლად  
მთელი სამყარო...  
რა ახლოს ყოფილა სხვისი ჭირი...  
რამხელა ბედნიერება გექონია:  
გულში ჩახუტების უფლება...  
„ფრთხილად!“ (ხილული თუ უხილავი შეგონება)...  
და ზიხარ ახლა შენი ნიჟარის ქარიშხალში  
და ფიქრობ:  
ისევ ისეთი ლამაზი იყო  
გამოტოვებული გაზაფხული?..













